ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 31 მაისი 1997 №62 (427) ფასი 40 თეთრი


# კარასს შურისგების ეშინია

FRANCE 98

**შესარჩევი ტურნირი**

**ევროპა, II ჯგუფი**

ბათუმში საქართველო-მოლდოვას ეროვნულ გუნდთა შეხვედრამდე კვირაღა დარჩა. ბუნებრივია, უშანსოდ დარჩენილი ჩვენი ნაკრების მატჩებს ხალხი ისეთი მღელვარებით აღარ ელოდება, როგორც ეს ინგლისთან და იტალიასთან იყო. ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს ერთი რამის დამტკიცება ჯერ კიდევ ძალუძს. დასამტკიცებელი კი ისაა, რომ ევროპის შესარჩევში მოლდოველებთან შერცხვენა შემთხვევითობა უფრო იყო, ვიდრე კანონზომიერება.

გუშინ ჩვენს მოლდოველ კოლეგებს შევეხმიანეთ და იქაურ ბანაკში არსებულ ვითარებაზე ვკითხეთ.

მოლდოვის ნაკრები მატჩისთვის მზადებას 2 ივნისს შეუდგება, ბათუმს კი 5-ში ეწვევა. მთავარმა მწვრთნელმა იონ კარასმა 23 ფეხბურთელს უხმო, რომელთაგან საქართველოში 19-ს იახლებს.

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| დენის რომანენკო | ზიმბრუ |
| ევგენი ივანოვი | ტილიგული |
| სერგეი დინოვი | კონსტრუქტორული |

**მცველები**

| | |
|---|---|
| ვასილი ტოლოკონიკოვი | ზიმბრუ |
| იონ ტესტიმიცანუ | ზიმბრუ |
| ოლეგ ფისტიკანი | ზიმბრუ |
| ვიტალი კულიბაბა | ზიმბრუ |
| სერგეი სეკუ | ზიმბრუ |
| იგორ ფილიპი | კონსტრუქტორული |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| რადუ რებეჯა | ზიმბრუ |
| მარინ სპინუ | ზიმბრუ |
| სერგეი ეპურეანუ | ზიმბრუ |
| ბორის ჩებოტარი | ზიმბრუ |
| ვლადიმერ გაიდამაშუკი | ტილიგული |
| სერგეი ბელოუსი | ტილიგული |
| ალექსანდრ პოპოვიჩი | ტილიგული |
| ოლეგ შიშკინი | კონსტრუქტორული |
| ვალერი კატენფური | აგრო |
| იგორ შუმილო | ნისტრუ |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| სერგეი კლეშჩენკო | გოუ ეჰედი, ჰოლან. |
| ალექსანდრე სუხორეკი | ზიმბრუ |
| იური მიტერევი | ზიმბრუ |
| სერგეი როგაჩოვი | ოლიმპია |

იმავდროულად „ზიმბრუს" მწვრთნელი კარასი საქართველოში ნირწამხდარი მოდის. მას ხასიათი ვერც მოლდოვის თასის პირველად აღებამ გამოუკეთა, რადგან „ზიმბრუ" დაწინაურებულ „კონსტრუქტორულს" ალბათ ვერაფერს მოუხერხებს და პირველად დაკარგავს ჩემპიონობას. თავისი საწუხარი კარასს დავუტოვოთ და იმაზე ვთქვათ, რაც ჩვენ უფრო გვაინტერესებს.

7 ივნისს ბათუმში ვერ ითამაშებს მოლდოველთა კაპიტანი, „ვიძევის" ნახევარმცველი კურტიანუ, რომელიც 3 მაისს კლუბში თამაშისას დაშავდა. მის არყოფნაში კაპიტანი სერგეი კლეშჩენკო იქნება, რომლის გუნდს ჰოლანდიის პირველ დივიზიონში გადასასვლელი მატჩები ელის. „გოუ ეჰედმა" კარასს სთხოვა, კლეშჩენკო ნაკრებში არ გამოეძახა, მაგრამ მოლდოველთა მწვრთნელმა თხოვნა ყურად არ იღო. კურტიანუს გარდა ჩვენი ნაკრების მეტოქეს, შესაძლოა, ორი ფეხბურთელიც გამოაკლდეს. ერთ მათგანს, ოლეგ ფისტიკანს კარასი ძნელად შეელევა, რადგან ქინქლაძის წინააღმდეგ პერსონალური თამაშისას მისი იმედი აქვს. თუ ფისტიკანს ტრავმა არ მოუშუშდა, ქინქლაძისთვის იმ კულიბაბას მიჩენას აპირებს, რომელმაც შარშანწინ დანისლულ კიშინიოვში საკუთარ კარში გოლი გაიტანა. ფისტიკანის გარდა, ნახევარმცველ ბორის ჩებოტარის თამაშიც სათუოა. ამ დანაკლისის შესავსებად კარასმა ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი ვალერი კატენფური მოიწვია. თუ ამან და იგორ შუმილომ ითამაშეს, მოლდოველები ზღვისპირეთში ორ დებიუტანტს განათლავენ.

კარასი თვლის, რომ ახლა საქართველოსთან თამაში იმაზე უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წინათ. მისი აზრით, მოლდოველთა თბილისში გამარჯვება იმის შედეგი იყო, რომ ქართველებმა მეტოქე საკადრისად არ შეაფასეს, მეორედ კი მოსაგებად მოტივაცია არ ჰქონდათ. თუმცა, კარასისვე აზრით, არც იმის დავიწყება იქნება, რომ იმ მატჩებში მისმა გუნდმა ტაქტიკურად სწორად ითამაშა.

ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე უარეს დღეში ახალგაზრდების თავკაცი სერგეი დუბროვინია. იგი აპრილის დასაწყისში ამავდროულად „უნისპორტის" მწვრთნელად დანიშნეს და გუნდს მისი ხელი აშკარად დაეტყო. ფოთის მატჩის წინ დუბროვინმა 21 მოთამაშე გამოიძახა, მაგრამ ჯერაც ვერ გაურკვევია, დაემატება თუ არა მათ ეროვნულ გუნდში მიწვეული კატენფური. თუ ახალგაზრდებმა კატენფური მოისაკლისეს, მაშინ გამთამაშებელი რუმინულ „ოცელულში" მოთამაშე ვალენტინ ლუპაშკო იქნება. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს არამარტო ცენტრალური ნახევარმცველის, არამედ მთლიანად ნახევარდაცვის მზადყოფნა აღელვებს. ამის მიუხედავად, დუბროვინი არ აპირებს თავის პრინციპს უღალატოს: ირწმუნება, რომ დაცვაში არ ჩაიკეტება და გუცაევის გუნდის წინააღმდეგ ორ თავდამსხმელს ათამაშებს. დუბროვინის აზრით, მთავარია, ქართველებს ბურთი წაართვა, რადგან უბურთოდ ერთობ ნერვიულობენ და შეიძლება სულაც გაჩერდნენ. ძნელი მისახვედრია, საიდან აკეთებს ასეთ დასკვნას ახალგაზრდების მწვრთნელი, რომელმაც კარასისგან განსხვავებით, ვიდეოინფორმაციას რომ ფლობს, მეტოქის მხოლოდ ტექნიკური შედეგებისა უწყის.

**ახალგაზრდული ნაკრები**

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| ვიაჩესლავ ყიგაილოვი | აგრო |
| ევგენი ხმარუკი | ტილიგული |
| ანდრიან ბოგდანი | კონსტრუქტორული |

**მცველები**

| | |
|---|---|
| ევგენი გილკე | აგრო |
| ანდრიან სოსნოვსკი | ზიმბრუ |
| ვასილი ორლეპი | სპერანცა |
| ვიაჩესლავ რუსნაკი | ოლიმპია |
| იური პლატონი | კონსტრუქტორული |
| ვლადიმერ კრივენკო | უნისპორტი |
| ვიაჩესლავ ლუნგუ | უნისპორტი |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| იულიან ბურსუკი | კონსტრუქტორული |
| ვალენტინ ლუპაშკუ | ოცელული, რუმ. |
| ვადიმ ბორეცი | ზიმბრუ |
| გეორგი სტრატულატი | ნისტრუ |
| ოლეგ შოიმუ | აგრო |
| ვლადიმირ რობუ | სპერანცა |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| რუსლან ბარბეროში | აგრო |
| ვიქტორ კომლონიოკი | კონსტრუქტორული |
| ვასილ მალიუტა | ნივა, ვინიცა |
| ალექსანდრ კოტლიარი | ტილიგული |
| ვიქტორ ბერკო | ოლიმპია |

**საქართველოს ჩემპიონატი**

# 30 ტური

| | | |
|---|---|---|
| სამგურალი | 2:1 | დილა |
| ტორპედო | 1:1 | სიონი |
| სამტრედია | 2:2 | თსუ |
| ბათუმი | 4:0 | ივერია |
| გორდა | 5:2 | ოდიში |
| კოლხეთი | 7:0 | გურია |
| დინამო | 3:2 | მერანი |
| მარგვეთი | - | კახეთი |

კახეთი არ გამოცხადდა

„ბათუმს" „სიონთან" წინა ტურის მატჩში წაგება ჩაეთვალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 26 | 3 | 1 | 101:23 | 81 |
| კოლხეთი | 30 | 20 | 4 | 6 | 73:28 | 64 |
| ბათუმი | 30 | 18 | 8 | 4 | 71:22 | 62 |
| მერანი | 30 | 18 | 6 | 6 | 53:28 | 60 |
| ტორპედო | 30 | 14 | 4 | 12 | 70:58 | 46 |
| ოდიში | 30 | 13 | 1 | 16 | 51:57 | 40 |
| მარგვეთი | 30 | 12 | 2 | 16 | 44:66 | 38 |
| დილა | 30 | 10 | 7 | 13 | 30:39 | 37 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 30:39 | 36 |
| გორდა | 30 | 11 | 2 | 17 | 44:57 | 35 |
| სამგურალი | 30 | 10 | 5 | 15 | 35:54 | 35 |
| თსუ | 30 | 8 | 10 | 12 | 37:40 | 34 |
| გურია | 30 | 10 | 3 | 17 | 33:63 | 33 |
| სამტრედია | 30 | 9 | 4 | 17 | 31:57 | 31 |
| კახეთი | 30 | 10 | 1 | 19 | 29:66 | 26 |
| ივერია | 30 | 5 | 6 | 19 | 24:61 | 21 |



# ბათუმში, შესაძლოა, ვენგერი ჩამოვიდეს

„არსენალი" ნემსაძითა და ჯამარაულით დაინტერესდა

„უემბლიზე" ინგლისთან შეხვედრის შემდეგ ლონდონის „არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი საქართველოს ნაკრებისა და „ტრაბზონის" ნახევარმცველებით — გია ნემსაძით და გოჩა ჯამარაულით დაინტერესებულა. თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ნემსაძისა და ჯამარაულის „არსენალში" მიწვევა, ამაში დასარწმუნებლად ვენგერი ან მისი რომელიმე თანაშემწე 7 ივნისს ბათუმში ჩამოვა და საქართველო — მოლდოვის შეხვედრას დაესწრება.

# დამთავრდა

CHAMPIONS LEAGUE

## „დინამო" თბილისი

UEFA Cup Winners' Cup

## „დინამო" ბათუმი

UEFA CUP

## „კოლხეთი" ფოთი

UEFA INTERTOTO CUP

## „მერანი" თბილისი

გუშინ საქართველოს VIII ეროვნული ჩემპიონატი გასრულდა. ბოლო ტურისთვის შემორჩენილ ორ კითხვასაც გაეცა პასუხი — მესამე გავარდნილი გუნდის საკითხი სამტრედიაში წყდებოდა და მოულოდნელად, ეს ხვედრი მასპინძლებს ერგოთ. რაც შეეხება ევროთასების დარჩენილი საგზურების განაწილებას, აქ საგანგებო არაფერი მომხდარა — უეფას თასზე პირველად თავის ისტორიაში ფოთელები გავლენ, ინტერტოტოზე კი, ასევე პირველად, პირველი ჯგუფის დებიუტანტი მერანელები. ამასობაში კი თასების თასის ტრადიციულმა მონაწილე „ბათუმმა", რაც არ უნდა საკვირველი იყოს, პირველად მოიპოვა ჩვენი ჩემპიონატის მედლები.

# მერაბ მეგრელაძე ამან თქვას, ვითამაშეო



გუშინ, 41 წლის, 4 თვის და 4 დღის მერაბ მეგრელაძემ ბოლო ოფიციალური საფეხბურთო მატჩი ითამაშა.

24 წლის მანძილზე, რაც ფეხბურთშია, მერაბმა 630 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 345 გოლიც გაიტანა! ამან თქვას, ვითამაშეო!

ცოტაც და ევროპის ყველა ქვეყანაში დამთავრდება საფეხბურთო ჩემპიონატები. დღეიდან ჩვენი გაზეთის შაბათის ნომრებში წამყვანი ლიგების გასულ ჩემპიონატებსა და მათ გამარჯვებულებზე მოგითხრობთ. დღევანდელი ნომრის მეხუთე გვერდზე საფრანგეთის ჩემპიონატის გასულ სეზონს გავიხსენებთ და ჩემპიონ „მონაკოსაც" გავიცნობთ.

**დინამო 3:2 მერანი**

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დოდავა, დ. მუჯირი, დავითნიძე (გოგიჩაიშვილი 46), დიმიტრიშვილი (კანკავა 39), ჩხაიძე, ალექსიძე, ხომერიკი (გემეზაშვილი 89), დემეტრაძე
**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, ქველაძე, გოგობერიშვილი, კაკუბავა (დავითაშვილი 68), გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია, გოგიტაძე, ბ. ამბიძე, გოდერძიშვილი, ჯიშკარიანი (ლ. ამბიძე 40)
0:1 გოდერძიშვილი (30), 1:1 ხომერიკი (43), 2:1 ხომერიკი (52), 2:2 ქორიძე (60 პ), 3:2 დემეტრაძე (75)
**გაფრთხილება:** კაკუბავა, კალაძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# დინამო სახელს უფრთხილდება

**მერაბ მამულაშვილი**

„დინამო" რომ თავის რეპუტაციას უფრთხილდება, „მერანთან" გამარჯვებითაც დაამტკიცა. რა დასამალია და, ჯერ კიდევ მეორე წრეში ათასგვარი ხმები გავრცელდა — „კახეთი" თბილისელთა შეილობილი გუნდიაო, „გურიაში" ჟორდანია თამაშობდა და გურულებს ამაგს არ დაუვიწყებსო, „მერანი" კი, ბოლოს და ბოლოს, თბილისური გუნდია და თუ დასჭირდა, „დინამო" დაეხმარებაო. მადლობა ღმერთს, ეს ყოველივე მხოლოდ ეჭვად და უსაფუძვლო ვარაუდად დარჩა — „დინამომ" სამივეს მოუგო. თუმცა...

დასაწყისი ეჭვიანთა ვარაუდს ამართლებდა. „დინამოს" ძირითადის რამდენიმე მოთამაშე აკლდა (სინამდვილეში ისინი სამოლდოვოდ დაასვენეს) და თამაშიც ისე უჯიგროდ დაიწყო, კინაღამ მეც ეჭვებს ავყევი — „მერანი" ხომ გამარჯვების შემთხვევაში სამეულში ხვდებოდა. თამაშიც მერანელთათვის სასურველად დაიწყო: ჯერ ქორიძემ დაასრულა დრიბლინგი მეკარესთან პირისპირ გასვლით, თუმცა არაზუსტი დარტყმით, 30-ე წუთზე კი გოლი გაიტანეს — კაკუბავამ მოედნის ცენტრიდან დინამოელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, იქ უმეთვალყუროდ დარჩენილ ბახვა ამბიძეს ზოიძემ აჯობა, თუმცა გოდერძიშვილმა დაამატა და ანგარიშიც გახსნა. გოლის გამტანთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა და „მერანის" გულშემატკივართა შემონაძახი მრავალჟამიერი მცირეჟამიერი ამოჩნდა. ყველაფერი კი „მერანის" მეკარისა და მცველთა (კაკუბავასა და გოგიტაძის) შეუთანხმებლობით იყო გამოწვეული. საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთზე სამივე დაიძრა, წაიქცნენ და ბურთი ხომერიკმა ცხრილში გაგზავნა.

40-ე წუთზე კიკნაძის, მეორე ტაიმის დასაწყისში კი გოგიჩაიშვილის შეყვანამ „დინამოს" გამარჯვება განაპირობა. განსაკუთრებით ეს უკანასკნელია გამოსარჩევი. სასიხარულოა, რომ ეროვნული გუნდის წევრი ფორმას იბრუნებს. უსწრაფეს დრიბლინგებს კახა მშვენიერი გადაცემებითაც აგვირგვინებდა. სწორედ მის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი გადააწოდა ალექსიძემ თავით ხომერიკს, ამან კი შემობრუნებით ლამაზი გოლი გაიტანა. მაგრამ „მერანი" არ დამცხრალა და მალე ბახვა ამბიძის საჯარიმოში წამქცევი ზოიძე ქორიძემ ზუსტი პენალტით დასაჯა. ეს იყო და ეს. მეტი ნომინალურმა სტუმრებმა ვერაფერი მოახერხეს. როგორც კი დინამოელებმა სისწრაფეს ოდნავ უმატეს, მერანელებს უმალ არაერთი შეცდომა დააშვებინეს და რამდენიმე უმწვავესი შეტევაც განახორციელეს, თუმცა კი მხოლოდ ერთხელ იხეირეს: დემეტრაძემ 25-ოდე მეტრიდან მოხდენილი დარტყმით დოლიძეს ცხრიანში გაუტანა და მერანელთა იმედებს ცივი წყალი გადაასხა.

მატჩის შემდეგ „მერანის" მთავარ მწვრთნელს თემურ მახარაძეს ინტერტოტოსთვის გუნდის მზადების გეგმებზე დავეკითხე:

— ერთი კვირა მოთამაშეებს დავასვენებთ, შემდეგ კი, 10 ივნისიდან თბილისში მოვაწყობთ შეკრებას. სამი მოთამაშის დამატებას ვაპირებთ, თუმცა ჯერ მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**— ვინ დატოვებს გუნდს?**

— ინტერტოტოს შემდეგ გუბაზ დოლიძე, ალბათ, ლატვიაში გაემგზავრება. უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება გელა ქორიძესაც, თუმცა ამაზე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, რადგან ქორიძე „მრეტებს" ეკუთვნის და ყველაფერი ამ კლუბის თავკაცებზეა დამოკიდებული. არ არის გამორიცხული, ლატვიაში გაემგზავროს ალეკო გოგობერიშვილიც, თუმცა, როგორც ვიცი, მისით „დინამოა" დაინტერესებული, ინგლისელ ახალგაზრდებთან შეხვედრის შემდეგ კი გოგობერიშვილი „ასტონ ვილას" სელექციონერებსაც მოსვლიათ თვალში. თუმცა, ვერ გეტყვით, ეს დაინტერესება რამდენად სერიოზული და კონკრეტულია.

**— ლაპარაკია, „მერანის" ხელმძღვანელობას ინტერტოტოზე სათამაშოდ საჭირო ფული არა აქვს და შეიძლება არც ითამაშონო...**

— ეს გამორიცხულია — „მერანი" ინტერტოტოზე აუცილებლად ითამაშებს.




გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**მედლები ვერა, მაგრამ ინტერტოტოს საგზური „მერანმა" და მისმა გულშემატკივრებმა წელსვე დაისაკუთრეს**

**სამტრედია 2:2 თსუ**

სამტრედია. სტადიონი „ეროსი მანჯგალაძე"
**სამტრედია:** სტურუა, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, ლორია, პავლიაშვილი, გ. ქელიძე, შ. ჩომახიძე, ფრანგიშვილი, სოხარულიძე, ივეჩიანი, დარსაძე
**თსუ:** ბათიაშვილი, სულთანოვი, ვერემჩუკი, კობიაშვილი, თელიაშვილი, კანკავა, ნ. მინდიაშვილი (ჩიგოშვილი 76), კობესაშვილი, ჩუხუა, მელქაძე, როსტიაშვილი (გაგუა 81)
1:0 ფრანგიშვილი (19), 1:1 როსტიაშვილი (37), 1:2 ჩუხუა (62), 2:2 ლორია (79)
**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი, პავლიაშვილი, გეგეშიძე, ვერემჩუკი
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# თამაშგარე, სისხლი და ა.შ.

**კობა ინასარიძე**
**სამტრედიიდან**

ამ მატჩის პრინციპულობაზე ალბათ ლაპარაკიც ზედმეტია: წაგებული I ჯგუფიდან ვარდებოდა. თსუ-ს ადგილის შესანარჩუნებლად ფრეც ჰყოფნიდა, „სამტრედიას" კი მოგების გარდა არაფერი შველოდა. არადა, რა გულსატკენია: ორივე გუნდი ხომ თავის დროზე ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი იყო, ახლა კი...

„სამტრედიის" სტადიონზე მისულმა თავიდანვე შევნიშნე კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა. მისი დანახვა სასიკეთოდ მენიშნა. ისედაც გაჭირვებულ ფეხბურთელებზე ჩაჩუას თამაშზე დასწრებას იქნებ სასიკეთოდ ემოქმედა. არც შევმცდარვარ.

„სამტრედიამ" თავიდანვე ისე შეუტია, უეჭველი იყო, გოლი მალევე უნდა გაეტანა, მაგრამ ეს მხოლოდ მე-19 წუთზე შეძლო: კუთხურიდან ჩაწოდებული ვერემჩუკმა თავით გამოიტანა, მაგრამ პირდაპირ ჩომახიძეს მიაწოდა, ამან მელქაძეც მოატყუა და კარის გასწვრივაც ჩააწოდა, იქ კი ბურთს ფრანგიშვილი დახვდა და ბათიაშვილის კარში შეაგორა.

მასპინძლებს აქამდეც ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობები, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, კლასი რომ აკლდათ. სხვას ვერაფერს დააბრალებ ისეთი მომენტების გაცუდებას, თსუ-ს მცველთა შეცდომების გამო რომ იქმნებოდა.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები ოდნავ გააქტიურდნენ, ჰქონდათ კიდეც ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე რეალური შანსი, მაგრამ ბოლო მომენტში მასპინძელთა მცველები ყოჩაღობდნენ. ისე, რომ არა ამათი ჭკვიანური თამაში, სამტრედიელთა მეკარე სტურუა მთლად მშვიდად რომ ვერ გრძნობდა თავს და მაინცდამაინც სანდო არ იყო, ამას მცველები გრძნობდნენ და ბურთს პირველი შეხებით შორს იგერიებდნენ, იქ კი გადმოგდებულ ბურთზე იბრძოდნენ ივეჩიანი და დარსაძე, რომლებიც ორთაბრძოლებში ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც, მაგრამ თანაგუნდელები ძალიან აგვიანებდნენ და ცენტრში, რიცხობრივად მეტი თსუელები ორივეს იოლად უმკლავდებოდნენ. მასპინძელ ნახევარმცველთა ასეთმა ზანტმა მოძრაობამ თსუ შეაგულიანა და უფრო მწვავედაც შეუტია, 37-ე წუთზე კი საწადელსაც მიაღწია: მარჯვენა ფრთიდან კანკავას ჩაწოდებული კარის შორეულ კუთხესთან უმეთვალყუროდ დარჩენილ ჩუხუას მიუვიდა, მართალია, მცველებიც უმალ მასთან გაჩნდნენ, მაგრამ ჯუბამ მოახერხა და იქვე მდგომ ვერემჩუკს დაუგდო. ამანაც იგივე გაიმეორა და როსტიაშვილს ისე მიაწოდა, გოლი გარდაუვალი იყო: როსტიაშვილმა აუღებლად დაარტყა.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ შვიდ წუთში საინტერესო აღარაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ადგილობრივი გულშემატკივრები ისე ქომაგობდნენ „სამტრედიას", გეგონებოდათ, საჩემპიონო მატჩი იყო. თუმცა, ამათთვის საჩემპიონოც გახლდათ და...

მეორე ტაიმი ძალზე დუნედ დაიწყო. სატურნირო ცხრილში გაუთვითცნობიერებელი კაცი იფიქრებდა, ფრეზე ორივე გუნდი ყაბულს არისო, მაგრამ, ვაი, რომ ასე არ იყო. „სამტრედიისგან" განსხვავებით თსუ-ს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ამასობაში 62-ე წუთიც დადგა. „სამტრედიამ" მოედნის შუაში დაკარგა ბურთი, მელქაძემ წინ ჩუხუას გადააწოდა, სამტრედიელი მცველები გაჩერდნენ, ტრიბუნებიც დადუმდნენ. ყველა ლაცაბიძის თანაშემწე რაზმაძეს მიაჩერდა, ერთი სული ჰქონდათ, როდის აღმართავდა ალამს და თამაშგარეს დააფიქსირებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სტურუასთან ერთი-ერთზე დარჩენილმა ჩუხუამ კი ისეთი გოლი შეაგო, თანაგუნდელებიც გაკვირვებით უყურებდნენ ლაცაბიძე-რაზმაძეს. ფეხბურთელები და თსუ-ს ხელმძღვანელები ჩათვლილ გოლში მაშინღა დარწმუნდნენ, როცა ჩუხუამ ხელები მაღლა აღმართა და თანაგუნდელთა მილოცვას დაელოდა. ალბათ ეს მომენტი იყო კულმინაციური ამ მატჩში. მასპინძელთა ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა ერთად შეუტიეს მსაჯებს, მაგრამ ამათზე არაფერმა იმოქმედა, სამაგიეროდ, გულშემატკივართა შეგულიანებამ ლორიას გაატანინა გოლი: მარჯვენიდან დარსაძის მიერ დაბალ ჩაწოდებას ფეხი შეახვედრა და დაბნეული მცველები კიდევ უფრო დააბნია, რადგან დარჩენილ დროში თსუ-მ ორი ისეთი შეცდომა დაუშვა, ივეჩიანს ოდნავ ყურადღებით რომ ეთამაშა, „სამტრედია" არ გავარდებოდა. თუმცა, ღმერთმა იცის, დარჩენილ დროშიც რა მოხდებოდა. ამათთვის სამწუხაროდ ივეჩიანმა ვერაფერი მოახერხა და მატჩიც ფრედ დამთავრდა.

ლაცაბიძის საფინალო სასტვენის შემდეგ რაც მოხდა, მტრისას... ჯერ იყო და, არბიტრს ვილაცამ ისეთი უთავაზა სახეში, სისხლიც კი წასკდა, შემდეგ კი გაგულისებულ გულშემატკივართა დაკავება გახდა შეუძლებელი. ამის კომენტარზე თავს შევიკავებ, რადგან მომხდარი გასაკვირი სულაც არ ყოფილა. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა სამტრედიაში, და არა მარტო იქ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ლოჟაში მჯდომ ტარიელ ჩაჩუას მაინც ვთ-



ხოვეთ მომხდარის კომენტარი.

— კომენტარი ზედმეტია. ისეთი აშკარა თამაშგარე გაატარეს, შეუძლებელია, მსაჯის შეცდომა იყოს. ეს იყო ჩაფიქრებული... სხვათა შორის, როცა წინა გათამაშებაში „სამტრედია" მეოთხე ადგილზე გავიდა, მეორე წრის დასაწყისშივე მითხრეს, მეოთხეზე ან მეხუთეზე გახვალო. მე ემოცია არ მალაპარაკებს, უბრალოდ, გული მაქვს შეწუხებული იმით, რომ რაც ახლა ქართულ ფეხბურთში ხდება, ქართულსავე ფეხბურთს სასიკეთოს არაფერს მოუტანს.

**— ვის ადანაშაულებთ?**

— ვინც ხელმძღვანელობს ყველაფერს ამას.

**— „სამტრედიის" პრეზიდენტი კიდევ ხართ?**

— მართალია, ოფიციალურად პრეზიდენტი აღარ ვარ, მაგრამ გუნდთან მაინც ვარ, ეს უბრალო მომენტია: როცა გუნდი აღზევების გზაზეა, მაშინაც მასთან ერთად უნდა იყო და მაშინაც, როცა გაჭირვებაშია. ეს ყველაფერი იმის ლოგიკური დასასრული იყო, რის გამოც ორი წლის წინაც შემოვკარი ზარი...

**— თქვენგან მიტოვებულ „სამტრედიას" ფინანსური მხარდაჭერა რომ მოაკლდა, ეს ხომ არ იყო გავარდნის წინაპირობა?**

— არა, მაგის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება...

# კავალა თუ კაბალა?

გაირკვა ინტერტოტოს გათამაშებაში თბილისის „მერანის" მეტოქე საბერძნეთიდან და რუსეთიდან. ეს კლუბები გახლავან „კავალა" და მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკი". მოსკოველებს ქართველი გულშემატკივარი ასე თუ ისე იცნობს, ამიტომ დღეს ბერძნულ გუნდს გაგაცნობთ.

„კავალამ" საბერძნეთის წლევანდელი ჩემპიონატი მე-6 ადგილით დაასრულა: 34 შეხვედრაში 16-ჯერ გაიმარჯვა, 7-ჯერ ფრე ითამაშა და 11-ჯერ დამარცხდა, გაიტანა 42 და გაუშვა 43 გოლი. მე-5 ადგილზე გასულ "პანათინაიკოსს" 9 ქულით ჩამორჩა, მე-7-ზე გასულ „პანილიაკოსს" კი 10 ქულით გაუსწრო. ბოლო ტურში „კავალა" საბერძნეთის ჩემპიონმა „ოლიმპიაკოსმა" 6:0-ით გაანადგურა.

„კავალა" ლურჯი ტრუსებითა და თეთრ-ლურჯი მაისურებით თამაშობს.

საბერძნეთის ჩემპიონატის დაწყებამდე „კავალაში" თსუ-ს მეკარე ნოდარ სიდამონიძე ვარჯიშობდა და ამიტომაც ვთხოვეთ, მოეთხრო ამ კლუბზე:

— „კავალას" საბერძნეთში დიდი ავტორიტეტი არ გააჩნია. ხშირად მიმოდიოდა საბერძნეთის I და II დივიზიონებს შორის. შარშანაც II დივიზიონში გამარჯვების შემდეგ დაუბრუნდა საბერძნეთის საფეხბურთო ელიტას. თუმცა, როგორც ჩანს, ფინანსურად საკმაოდ მოღონიერდა: პრეზიდენტი იანის პაპაიოანუ გუნდის გაძლიერებითაა დაინტერესებული. სამისოდ სეზონის წინ, ანუ მაშინ, როდესაც კავალაში ჩავედი, სხვადასხვა ქვეყნიდან და საბერძნეთიდანაც 30 მოთამაშეს სინჯავდნენ.

„კავალაში" თამაშობს სომხეთის ნაკრების მცველი ერვანდ სუკიასიანი, რომელიც თავის დროზე კიევის „დინამოსა" და ვენის „აუსტრიაში" გამოდიოდა. იგი ლიბეროა. დამამახსოვდა ერთი ახალგაზრდა ბერძენი თავდამსხმელი, გვარი არ მახსოვს, რომელსაც ჯერ კიდევ მაშინ „პანათინაიკოსში" იწვევდნენ. შესაძლოა, უკვე გადასულიც არის, რადგან „კავალა" ამისთანა კლუბის დაწოლას ვერ გაუძლებდა.

პირდაპირ, ყოველგვარი გასინჯვის გარეშე გუნდში ავსტრიელი და იუგოსლავიელი თავდამსხმელები აიყვანეს. ეს უკანასკნელი ძალიან მაღალია და კარგადაც თამაშობს.

იქ თვალში მეცა „კავალას" ფეხბურთელთა შესაშური ფიზიკური მომზადება, მოედანზე ბევრს მოძრაობენ და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ძნელი იქნება, თუ „მერანის" ფეხბურთელებიც ასეთსავე ფორმაში არ იქნებიან. მენიშნა ისიც, რომ „კავალაში" საქმე მშვენიერად აქვთ აწყობილი — მოთამაშეებს მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრიღა დარჩენიათ. ვიმეორებ, „კავალა" დიდი სახელით არ გამოირჩევა, მაგრამ საქართველოს ბევრ გუნდზე, თუ ყველაზე არა, უკეთესი პირობები გააჩნია.

თავად კავალა პატარა, ლამაზი ქალაქია. სტადიონიც პატარა, 15-ათასიანი აქვთ, მოედნის საფარი ჩინებულია. თავად მოედანი გრძელი და განიერია.

**— შენ რატომ ვერ დარჩი „კავალაში"?**

— ჩემთვის უკვე ნათქვამი ჰქონდათ, გუნდში ჩაირიცხებიო, მაგრამ მაინც უკან გამობრუნება მომიხდა. მიზეზს მიხვედებით — ჩემი მენეჯერი „კავალას" თავკაცებს პირობებზე ვერ მოურიგდა.

შეგახსენებთ, რომ „მერანს" საბერძნეთში თამაში 21 ან 22 ივნისს მოუწევს.

**მერაბ მამულაშვილი**

**ტორპედო 1:1 სიონი**

ქუთაისი. სტადიონი „გივი კილაძე"
**ტორპედო:** მამარდაშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, შენგელია (გ. მეგრელაძე 82), ჯინჭარაძე, კვეტენაძე, ქებაძე (მ. მეგრელაძე 63), კ. მეტრეველი, აშვეთია, ვაჩიბერაძე (მარლიშვილი 84)
**სიონი:** ჩლაიძე, მეფარიშვილი, ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, ვ. ჯაფაროიძე (მ. სამხარაძე 46), გოგოლაძე (ვ. სამხარაძე 71), ტარტარაშვილი, ხოსროშვილი, ჯაგიდისი, მოსეშვილი (გ. ქანტურია 73)
1:0 შენგელია (40), 1:1 ხოსროშვილი (58)
აშვეთიამ ვერ გაიტანა პენალტი (56)
**გაფრთხილება:** ტარტარაშვილი, მეტრეველი, თურმანიძე
**მსაჯი:** ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# ფრე ორი კურდღლის დევნაში

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

მატჩის წინა დღეს „სიონს" ოფიციალურად გაუფორმეს „ბათუმთან" გამარჯვება და ამით ჯგუფში მისი დარჩენის საკითხიც გადაწყდა. ამიტომ იყო, რომ ბოლნისელები ბოლო მატჩს დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდნენ. შეხვედრის შედეგი ვერც ტორპედოელთა სატურნირო მდგომარეობაზე მოახდენდა გავლენას, მაგრამ მასპინძლებს ერთი მიზანი მაინც ამოძრავებდათ — როგორმე ხელი შეეწყოთ თავიანთი გოლეადორ აშვეთიასთვის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დასაწინაურებლად. ტორპედოელებმაც სწორედ აშვეთიაზე ააწყვეს მთელი თამაში, მიხოც ძლიერ მონდომებული ჩანდა. პირველ ათ წუთში ვაჩიბერაძემ ორჯერ შეუქმნა მას გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ პირველად აშვეთიამ ხუთიოდე მეტრიდან გადააცილა კარს, მეორედ კი ძელს მოარტყა.

ბოლნისელებმა უმალ აუღეს ალღო მასპინძელთა თამაშს და აშვეთიას მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს. სტუმართა დაცვის ცენტრს, როგორც წესი, 5-6 ფეხბურთელი ამაგრებდა, კონტრშეტევებზე კი „სიონი" 2-3 კაცით გადადიოდა. ერთ-ერთი ასეთი იერიში კინაღამ გოლით დაასრულა ჯაგიდისმა. 25-ე წუთზე მან საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან დაარტყა, მამარდაშვილმა კი თავგანწირული ნახტომით კუთხურზე მოიგერია ბურთი. ხუთიოდე წუთში უკვე ქებაძეს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ მასაც არ გაუმართლა — ხარიხას მოახვედრა ძლიერად დარტყმული. მასპინძლებმა მაინც მოიგეს ტაიმი. მათ ხანგრძლივ შეტევას მოხდენილი დარტყმით შენგელიამ დაუსვა წერტილი.

მეორე ნახევარიც იმავე სცენარით წარიმართა. აშვეთიას ძლიერ სურდა გატანა, პარტნიორებიც თითქოს ყველანაირად ეხმარებოდნენ, მაგრამ ფორტუნამ მას აშკარად აქცია ზურგი. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ, რომ აშვეთიამ მეტრეველის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ვერ ისარგებლა (დარტყმა ჩლაიძემ მოიგერია), მე-60 წუთზე კი კიდევ ერთხელ მოახვედრა ბურთი ძელს. ვიდრე ეს მოხდებოდა, ბოლნისელებმა იხეირეს: მირზა სამხარაძის მარცხნიდან ჩაწოდებულს ტანდაბალი ხოსროშვილი მისწვდა და თავით გაათანაბრა ანგარიში. 70-ე წუთზე იმავე ხოსროშვილმა ჯაგიდისი გაიყვანა სახიფათო პოზიციაზე და ამ უკანასკნელს ზუსტად რომ დაერტყა, „ტორპედო" მდევრის როლში აღმოჩნდებოდა.

ბოლო-ბოლო, ქუთაისელებს ვერც შეცვლებმა და ვერც ბოლო წუთებში სტუმართა კარზე მიტანილმა „მასობრივმა" იერიშებმა უშველა, მასპინძლები ამ მატჩში ფრეს დასჯერდნენ.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ სტადიონზე მოსული გულშემატკივრები ფეხზე წამოუდგნენ და ოვაციები გაუმართეს „ტორპედოს", უფრო სწორად, ქართული ფეხბურთის ვეტერანს მერაბ მეგრელაძეს. 41 წლის მერაბმა საბოლოოდ გადაწყვიტა სათამაშო კარიერის დასრულება. „ბაბუს" ბევრი თბილი სიტყვაც უთხრეს და საჩუქრებიც ბლომად მიართვეს, მერაბ მეგრელაძემ ხომ 24 წლის მანძილზე 630 ოფიციალური შეხვედრაში 345 გოლი გაიტანა.

**წუხელ**

# ჯერჯერობით აქაც ბოლო ადგილზე ვართ

ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის ჩვენი ჯგუფის მორიგ მატჩში პოლონეთმა ინგლისს უმასპინძლა. ჯგუფის ლიდერი სტუმრები 36-ე წუთზე ემილ ჰესკიმ დააწინაურა, მაგრამ 65-ზე პოლონელმა დანიელ დუბიცკიმ ამ შესარჩევ ციკლში პირველმა მოახერხა ინგლისელთა კარის აღება და მატჩიც ფრედ, 1:1 დამთავრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 5:1 | 12 |
| იტალია | 6 | 3 | 2 | 1 | 17:3 | 11 |
| პოლონეთი | 5 | 0 | 4 | 1 | 4:6 | 4 |
| მოლდოვა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:12 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |




დორტმუნდის ფრიდენსპლაცზე 10 000-მდე კაცი შეჰყვება გამარჯვებულ „ბორუსიას“

# სიგიჟე ერთი ღამისა

შეცდა იოჰან კრუიფი. ის ამბობდა, „იუვენტუსი“ მოიგებსო, რადგან ადამიანურ ლოგიკას ეყრდნობოდა. განა ბევრმა იცის ამქვეყნად ფეხბურთში იმდენი, რამდენიც მან? განა კრუიფი არ იყო, ფეხბურთელობისას ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდა და ახლებურ აზროვნებას ნერგავდა, შემდეგ, მწვრთნელობისას კი საუცხოო „ბარსელონა“ რომ გამოძერწა? განა მან ყველაზე უკეთ არ იცის, რომ საფეხბურთო ლოგიკა კიდევ სხვაა, ადამიანურისგან განსხვავებული? და მაინც, დიდი ჰოლანდიელი შეცდა. თამაშის წინ ამბობდა, გაოცებული ვარ, რა დონეს მიაღწია „იუვენტუსმაო“. დასძინა, თანაც ტურინელებს უცხოელ ვარსკვლავებში მილიონების გადახდის სენი არ შეყრიათო, მაგრამ თურმე ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

შეცდა მისი თანამემამულე ფრანკ დე ბურიც, რომელმაც იტალიელთა ძალა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში პირადად მოსინჯა. „აიაქსის“ მცველს ეჭვი არც ეპარებოდა, რომ ფინალს „იუვენტუსი“ მოიგებდა. ამბობდა — სულ თვალწინ მიდგას ის ოთხი გოლი, ტურინში რომ გავუშვით, მეტოქე ამქვეყნიური გუნდი არ იყო, ის უცხო პლანეტიდან არისო.

შეცდა მილიონობით სხვა ადამიანიც. რატომ?

— ჩვენი, გერმანელების ძალა ისაა, რომ როდესაც ხალხს არათუ მკვდარი, უკვე დამარხულიც კი ვგონივართ, წამოვიმართებით და ვიბრძვით — ეს სიტყვები ადოლფ ჰიტლერს არ ეკუთვნის და პოლიტიკას არ ეხება. ესაა დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველის, მსოფლიოს ჩემპიონისა და სხვა უამრავი ტიტულის მომპოვებლის იურგენ კოლერის ნათქვამი. ახლა უკვე ჩემპიონთა თასის მფლობელ ფეხბურთელს მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთი ჰქონდა მხედველობაში.

კიდევ იმიტომ შეცდა მილიონობით ადამიანი, რომ მათ კარლ-ჰაინც რიდლეს სიზმრის შესახებ არაფერი იცოდნენ. თამაშის დღეს, დილით, რიდლემ სიზმარი კრეეს გაანდო. კრეემ სხვას უთხრა და ასე, თანდათან, დორტმუნდის გუნდის ყველა ფეხბურთელმა შეიტყო, რომ მათ თავდამსხმელს იმ საღამოს ორი გოლი უნდა გაეტანა: ერთი მარცხენა ფეხით, მეორე კი თავური დარტყმით. ცხადია, ვერ გეტყვით, ბორუსიელთაგან წინასწარმეტყველების ვის სწამს და ვის არა, მაგრამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პირველად შესულმა შტეფან როიტერმა ჟურნალისტებს უპირველესად რიდლეს სიზმრის ამბავი მოუთხრო. შემდეგ თავად რიდლემაც ილაპარაკა, დაუჯერებელი რამ შემემთხვაო, განაცხადა და თქვა, როდესაც ყველაფერი ზედმიწევნით ახდა, გავოგნდი, ახლა კი ვფიქრობ, იქნებ სულაც სიზმარა გავხდეო.

საოცარია, ფინალამდე სულ რაღაც ათი დღით ადრე კარლ-ჰაინცი დარწმუნებული იყო, რომ დიდ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მას მორიგი ტრავმა ჰქონდა.

— ცხოვრების მანძილზე უამრავჯერ ვიყავი დაშავებული. ჩემს ასეთ ბედზე ხშირად მიფიქრია — თქვა რიდლემ, რომელმაც მისთვის საოცრად ბედნიერ დღეს ნეკი რომ მოიტეხა, აღარც გაკვირვებია. არადა, კარიერის დასაწყისში მას ნაკრების მწვრთნელები ხშირად თვით იურგენ კლინსმანსაც კი ამჯობინებდნენ ხოლმე.

— დიდებულია, რომ ფეხბურთელმა, რომელსაც ამდენი ტრავმა აქვს გადატანილი, ფინალში ორი გოლი გაიტანა. ეს მის სულიერ სიძლიერეზე მეტყველებს — განაცხადა დორტმუნდელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

მილიონობით ადამიანი იმიტომაც შეცდა, რომ ვერ წარმოედგინა, მოედანზე თექვსმეტი წამის შესული სათადარიგო ფეხბურთელი ბურთთან პირველივე შეხებით მას კარში თუ შეაგდებდა.

— ვხედავდი, რომ „იუვენტუსის“ მეკარე ხშირად წინ გამოდიოდა და მოედანზე ამის გამოსაყენებლად შევედი, მაგრამ პირველი შეხებით გოლის გატანა სიგიჟე იყო. შევამჩნიე, პერუცი ხაზს კარგა გამოსცილებოდა და დავარტყი, მაგრამ შემდეგ, რომ დავფიქრდი, გავოცდი: ასეთი რამ მხოლოდ კინოში ხდება — ამბობდა ბედნიერი ლარს რიკენი.

და კიდევ, რატომ შეცდა მილიონობით ადამიანი? იმიტომ, რომ „ბორუსია“ ძლიერი გუნდია, რომელმაც 28 მაისს, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ჩინებულად ითამაშა.

...დორტმუნდის ცენტრალურ მოედანზე, ფრიდენსპლაცზე კი ენითაუწერელი რამ ხდებოდა. 600 ათასიანი ქალაქის 40 ათასი მაცხოვრებელი უზარმაზარ ეკრანზე უყურებდა დიდ ფინალს. მათ შორის სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსულებიც მრავლად იყვნენ.

— მთვრალი ვარ, მთვრალი ვარ, მთვრალი ვარ და დროშას ვაფრიალებ — ყვიროდა დორტმუნდელთა გამარჯვებით ბედნიერი ესენელი შემდუღებელი, ვინმე მარკო ნიუმანი, რომელიც კარუსელთან გაშოტილიყო — ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება.

— აი, ამ ხალხისთვის „ბორუსია“ მხოლოდ ფეხბურთის გუნდი არ არის, ის მსოფლიოსთან კავშირის საშუალებაა. ისინი თავიანთ კლუბს რაღაც უმაღლესთან აიგივებენ — უხსნიდა უცხოელებს ერთ-ერთი ადგილობრივი სასტუმროს მენეჯერი მათიას კარცაი.

— ყველა გაჭირვება დამავიწყდა — სიხარულისგან დახტოდა უმუშევარი მუშა მიკე ბრეკნერი. იგი ფრიდენსპლაცზე აღმოსავლეთ გერმანიიდან ჩასულიყო.

— ეს გამარჯვება ძლიერ მნიშვნელოვანი გახლდათ. ჩვენ ხალხს ხომ თავი „ბორუსიასთან“ აქვს გაიგივებული. ისინი ელოდნენ მოგებას. ელოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ „იუვენტუსი“ იდგა — თქვა ქალაქის საბჭოს პრეს-მდივანმა კარსტენ ჰანსელმა.

— სიხარულისგან ლამის შევიშალო — იღრიალა ბილეფელდიდან ჩასულმა, 18 წლის ტომ ბეკმანმა.

როდესაც რიდლემ პირველი გოლი შეაგდო, მთელი მოედანი ჰაერში ახტა, გაიმართა საოცარი ზეიმი, მეორე გოლმა კი ბედნიერებას ბედნიერება დაამატა.

— იბრძოლე დორტმუნდ, იბრძოლე! — შენობებს აზანზარებდა 40 ათასი ხმა, ტურინელმა დელ პიერომ სხვაობა რომ შეამცირა. მერე კი იყო რიკენის გოლი...

დორტმუნდის პოლიციის ცნობა: ზეიმის განმავლობაში დააკავეს მხოლოდ ათი მთვრალი ადამიანი, რომლებიც წესრიგს არღვევდნენ. მეთერთმეტე დააპატიმრეს „ბორუსიას“ შარფის მოპარვისთვის.

„ბორუსისიმა“ — დიდი ასოებით დაწერა გერმანიის ყველაზე დიდტირაჟიანმა გაზეთმა „ბილდმა“. ამ იტალიურად მოქცეული გერმანულით ყველაფერი ნათქვამია.

„ოცნება ახდა!“ — აცხადებდა ადგილობრივი „ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“.

„ბორუსია! ეს სიგიჟეა!“ — წერდა „რურ ნახრიხტენი“. — „ჩვენ ევროპის მეფეები ვართ!“

მართლაც, გერმანული ფეხბურთი საოცრად... მართლაც, გერმანული ფეხბურთი სასწაულ აღმავლობას განიცდის. შარშან ამ ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი ორმა გუნდმა კონტინენტური საკლუბო ჯილდო მოიპოვა — უეფას თასი „შალკემ“, ჩემპიონთა თასი კი „ბორუსიამ“. 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელიც გერმანელი და სწორედ დორტმუნდელი მათიას ზამერი გახდა. მიღწევათა ასეთი შადრევანი გერმანელებს სამოცდაათიანი წლების შუაში ჰქონდათ: 1974 წელს იმავე მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1974-76 წლებში „ბაიერნმა“ ზედიზედ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, 75-ში კი მასთან ერთად მიონხენგლადბახის „ბორუსიამაც“ მოიპოვა ევროპული ჯილდო — უეფას თასი.

გერმანულ წარმატებებზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ: ევროთასების წლევანდელი მფლობელები „ბორუსია“ და „შალკე“ ქვეყნის ერთი კუთხიდან, რურის ოლქიდან არიან, დორტმუნდსა და გელზენკირხენს შორის კი სულ რაღაც 35 კილომეტრია. აღსანიშნავია, რომ რურის ოლქი გერმანიის ყველაზე ინდუსტრიული რაიონია, რომელსაც ახლა მძიმე დროება უდგას — მეტად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი. ეტყობა, ფეხბურთის ფორტუნამ იცის, ვის სჭირდება ახლა სიხარული ყველაზე მეტად.

იტალიელები კი ევროთასის გარეშე ბოლოს 1988 წელს დარჩნენ. მას მერე ასეთი რამ არ მომხდარა.

იცით, როგორ აღნიშნეს ტურინში „იუვენტუსის“ დამარცხება? ახალგაზრდებმა და ბავშვებმა ქუჩებში სატირული სამგლოვიარო პროცესი მოაწყვეს.

— მიუნხენში, ჩემპიონთა თასის ფინალში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, საყვარელ ქომაგებს უეცარმა სიკვდილმა ხელიდან გამოაცალა ტიტულის შარშანდელი მფლობელი „იუვენტუსი“ — წარმოთქვა სამგლოვიარო სიტყვა მავანმა მოტირალმა.

ვინ მოაწყო ეს პროცესია, თავად ქომაგებმა თუ ტურინის მეორე გუნდის, „ტორინოს“ ცინიკოსმა წამქეზებლებმა, უცნობია. ფაქტი კი ერთია, რომ დანარჩენი იტალია ლამის მართლა დასამარხი შეიქნა.




ეს-ესაა კარლ-ჰაინც რიდლემ „იუვეს“ განადგურებას სათავე დაუდო

**პაპუნა ძედია**

გოგი ახვლედიანის

# შარშან ვიალი იყო, კლუივერტიც

ვერ გავიგე, რას ველოდებოდი მთელი წელიწადი.

ალბათ სულელი ვარ, მაგრამ მართლა ვერ გავიგე.

ჩემპიონთა ლიგის ფინალს მშვიდად ვუყურე, რადგან არცერთ იქ გასულ გუნდს არ ვგულშემატკივრობდი.

მიუნხენში მაღალი კლასი იყო, მაგრამ მე მაინც ვერაფერი გავიგე.

ალბათ იმიტომ, რომ კლასი იყო მაღალი.

აი, 26 მაისს თბილისის სტადიონზე კი ყველაფერი გავიგე.

რაც ფეხბურთს ვუყურებ, „იუვესთვის“ ერთადერთხელ მიქომაგია, „დორტმუნდის“ წინააღმდეგ და „დორტმუნდისათვისაც“ ერთადერთხელ მიქომაგია, ასევე „იუვენტუსის“ წინააღმდეგ.

ახლა ვერცერთს ვერ მივუდექი და ალბათ ამიტომაც ვერ გავიგე ვერაფერი.

რომელიმეს მხარეს რომ ვყოფილიყავი, ეგებ თამაში საუცხოო, საშიში და ჯიგრიანი მომჩვენებოდა.

მანამდე კი ახე იყო:

თებერვლიდან მოკიდებული „სარბიელში“ შემოვივლიდი და აქაური „იუვეს“ ფანებს შევეხუმრებოდი:

— მოემზადეთ, იუვეს „FAREWELL SEASON“ აქვს.

ე. ი. გვეთხოვება-მეთქი.

ამის შემდეგ „რეზონანსის“ რედაქციაში გავივლიდი და იქ მყოფ რამდენიმე გერმანელთა თაყვანისმცემელს შევეტაკებოდი: „დორტმუნდის“ ფასი კაპეიკია-მეთქი.

ამაში იყო ერთგვარი გართობა.

მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რას ველოდებოდი მთელი წელიწადი.

კარლ ჰაინც რიდლეს ნამდვილად არ ველოდებოდი.

„დორტმუნდი“ უაღრესად ღირსეული გამარჯვებულია.

შინაგანად, ყოველთვის იმ გუნდის მოგება უფრო მიხარია, რომელიც უბრალოდ და სადად თამაშობს. არაერთხელ დამიწერია, რომ რაც ფეხბურთში მათემატიკის მასწავლებლები, ასტროფიზიკოსები და გინეკოლოგები მოვიდნენ მწვრთნელებად, საქმე გართულდა. უპირველესად კი გამოჩნდა ერთგვარი დემონური ძალა, ჯიგარი კი დაიკარგა. კლასი ამაღლდა და სილამაზე გაქრა. „შტუტგარტ“ — „ბაიერნის“ თამაში უფრო მიმზიდველი და საინტერესო საცქერია, ვიდრე „რეალ“ — „ბარსას“ ჭიდილი. პირველ შემთხვევაში მოედანზე ორი კინკილა ვარსკვლავი და 20 კარგი ფეხბურთელია, მეორეში კი პირიქით, მეორეში უმაღლესი კლასია, თამაში კი არ არის. თამაში, სწორედ ის, რასაც „თამაში“ ჰქვია ოდინდელი გაგებით.

ის დრო აღარ დაბრუნდება — საფრანგეთის ნაკრებში ამიერიდან სულ მაკალელეები და ნგოტები ითამაშებენ.

„დორტმუნდი“ კი ერთი ჯიგრიანი, ვაჟკაცური გუნდია — ადგა და მოუგო ფილოსოფოსებს, „ვინტ-ბოლტ-გაიკების, ვზაიმასტრახოვკების, გრუპავოი ატბორების, არითმიების, პლავნი და ნიგლიაძია პერეხოდების, ფუნქციანალნი პოლივალენტობის და აბხადნოი მიაჩის „დიდოსტატებს“.

ლიპი მცველი იყო, ჰიცფელდი თავდამსხმელი. აქაც არის ერთგვარი ინტერესი.

„იუვე“ თავისსავე დანთებულ კოცონში ჩაიწვა — ვეღარ გაუძლო და ვეღარც უნდა გაეძლო, თუკი სადმე საფეხბურთო ლოგიკა არსებობს. სწორედ ბოლო, უდიდეს თამაშში წაიქცა.

ეხეც არ იყოს, „დორტმუნდის“ ბებრები, თუ ახალგაზრდები, ნაღდი ვარსკვლავები არიან. მათ არაერთხელ, სულ სხვა გუნდებშიც დაუმტკიცებიათ, რანი არიან. „იუვენტუსის“ მთავარი გმირები კი პირადად ლიპიმ შარშან ზაფხულში გააკეთა და გაკეთებული ყოველთვის ფუჭდება.

ვფიქრობ, „დორტმუნდს“ ნაღდად ეკუთვნოდა თასი — უფრო სწორად, ფინალში მან სავსებით დაიმსახურა ეს თასი.

თუმცა, მე მაინც ვერ გავიგე, რას ველოდები მთელი წელიწადი.

კასპაროვის და კომპიუტერის თამაშის მსგავს რამეს ხომ არა?

ხალხნი ვართ, ლაღი თამაში გვიყვარს. ფილოსოფიას წიგნშიც ამოვიკითხავთ.

შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## ევროპა. II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| ინგლისი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |

# ბრძოლა ერთი ბილეთისთვის

დღეს კატოვიცეში მეტად პრინციპული მატჩია — პოლონეთი ინგლისს ეთამაშება. მასპინძლები ხავსს ებღაუჭებიან, სტუმრები კი, ცხრილიდანაც ჩანს, მოგების შემთხვევაში მინიმუმ მეორე ადგილს ინაღდებენ.

პოლონელთა თავკაცმა ანტონინ პეხნიჩეკმა თითქმის ყველა უძლიერეს ფეხბურთელს მოუყარა თავი. მისი განცხადებით, „უემბლიზე“, მართალია დათმეს მატჩი, მაგრამ ურიგოდ არ უთამაშიათ და დიდი სურვილი აქვთ, კატოვიცეში სასურველ შედეგს ანუ მოგებას მიაღწიონ. „თუ ინგლისთან ვიმარჯვეთ, მერწმუნეთ, ეს პოლონური ფეხბურთის აღმავლობის დასაწყისი იქნება. ჩვენ არცთუ ისე ცუდი გუნდი გვყავს. ჩვენს ფეხბურთს ბოლო წლებში ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ვატყობ, კრიზისიდან გამოვდივართ. ასე რომ, ინგლისთან მატჩში ყველა ღონეს ვიხმართ, რათა სასურველი სამი ქულა მოვიპოვოთ.“ პეხნიჩეკის ოპტიმისტურმა საუბარმა აზრი ვერ შეუცვალა ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით ქვეყნის რეკორდსმენ გჟეგოჟ ლატოს. მისი თქმით, პეხნიჩეკის ხელში გუნდს მომავალი არ აქვს და ჯობს, დროზე შეცვალონ.

ინგლისის ბანაკში გარკვეულწილად დაძაბული ვითარებაა, რადგან თუ ეს მატჩი ვერ მოიგო, ჰოდლის გუნდი რთულ ვითარებაში აღმოჩნდება. თავად ჰოდლმა, ვინც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მოისაკლისა, განაცხადა, რომ ეს მატჩი წყვეტს მათ საფრანგეთში წასვლა-არწასვლის საკითხს. „თუ მოვიგეთ, რისი დიდი იმედიც მაქვს, მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფრის მიუხედავად, იტალიელებსაც დავამარცხებთ. „უემბლიზე“ პოლონეთმა კარგად ითამაშა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შინ პირველ მატჩს ვატარებდით. მაშინ შირერის ორმა გოლმა გვიშველა. იმედი მაქვს, ალანი არც ამ თამაშს დატოვებს უგოლოდ.“

აზრი ნაკრების მცველმა გარი ნევილმაც გამოთქვა: „პოლონელთაგან ყველაფერს უნდა ველოდოთ. თავიანთი კერკეტი კაკლობა მათ „უემბლიზეც“ დაამტკიცეს, მაგრამ მაშინ ჩვენ ვიმარჯვეთ. ახლაც იგივეს ვაპირებთ“ — თქვა მან. გარეთ საუთგეიტი კი ამბობს: „ვიცი, გაგვიჭირდება, მაგრამ მოგების გარდა არაფერს დავჯერდებით. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატზე გვსურს თამაში, ისევე როგორც მეტოქეს, ერთი ბილეთით კი ორი ვერ იმგზავრებს.“

ჰოდლის გასახარად, ნაკრებს გესქოინი დაუბრუნდა. ექიმები სამხრეთ აფრიკასთან მატჩის მერე რამდენიმე თვით მისი მწყობრიდან გამოსვლას ვარაუდობდნენ. თავად გაზას თქმით, ტრავმა უკვე მოუშუშდა და თუ გლენი ინებებს, თავს არ დაზოგავს.

**ლაშა გოდუაძე**

## იტალია

### თასის ფინალი.
საპასუხო მატჩი (პირველი მატჩი 0:1)

**ვიჩენცა 3:0 ნაპოლი**

**ვიჩენცა:** ბრივიო, სარტორი, ვივიანი, ლოპესი, ბეგეტო, ჯენტილინი (როსი 97), დი კარლო, მაინი, ამბროზეტი (იანუცი 18), მურჯიტა, კორნაჩინი (დონაციო 67)
**ნაპოლი:** ტალიალატელა, ბოგოსიანი, აიალა, ბალდინი, მილანეზე, კრასონი (პანარელი 97), ბორდინი (ალიეტი 61), ლონგო (ალტომარე 67), ესპოზიტო, პეკია, კაჩა
**გოლი:** 1:0 მაინი (20), 2:0 როსი (117), 3:0 იანუცი (120)
**გაძევება:** კაჩა (91)

პირველი ნახევრის შუა პერიოდი იყო, ჯამპიერო მაინიმ თავისსავე თაურს ფეხით რომ დაუმატა და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. მომდევნო გოლამდე „ვიჩენცას“ ძველისძველ სტადიონ „რომეო მენტიზე“ შეკრებილმა გულშემატკივრებმა საათნახევარზე მეტი იცადეს. თუმცა, მანამდეც შეეძლოთ მეტოქეებს ერთმანეთის კარის დალაშქვრა. საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს მურჯიტამ, დი კარლომ, ბორდინიმ, ესპოზიტომ და კაჩამ. ზოგმა ააცილა, ზოგის დარტყმულს კი კარის დარაჯები დახვდნენ მედგრად. შესვენებაზე იტალიის თასის სამგზის მფლობელი „ნაპოლის“ გულშემატკივრებმა „ვიჩენცას“ ფანებს სხვადასხვა საგნების სროლა დაუწყეს და მათკენ მაშხალებიც გაუშვეს. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და გუნდებმაც დამატებითი ნახევარი საათი ითამაშეს. პირველი თხუთმეტწუთეულის მეორე წუთზე ნეაპოლელები ათნი დარჩნენ — ნიკოლა კაჩას, ფაბიო ვივიანთან უხეშობისთვის, არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა. სტუმართა კაცნაკლულობას პროვინციული „ვიჩენცას“ გულშემატკივრები ყიჟინით შეხვდნენ. მეოთხე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა არც „ნაპოლის“ თავკაცი, ლუიჯი სიმონეს შემცვლელი ვინჩენცო მონტეფუსკო დაინდო და მის მიმართ გამოთქმული უხამსი სიტყვებისთვის უმწვრთნელოდაც დატოვა. მთლიანმა „ნაპოლიმ“ ვერაფერი ილონა და აბა, ნაკლულს რა უნდა გაეკეთებინა. მართლაც, როცა ყველას ეგონა, რომ თასის გამარჯვებულს პენალტები გამოარკვევდა, ბოგოსიანის მიერ საჯარიმო დარტყმის შემდეგ ტალიალატელას უხეიროდ უკუგდებულს შეცვლაზე შესულმა მაურიციო როსიმ ზუსტად დაამატა და ტრიბუნები სიხარულისგან შეძრა, „ნაპოლი“ კი წელში გატეხა. სანამ სტუმრები გონს მოსვლას მოასწრებდნენ, შეცვლაზე შესულმა მეორე ვიჩენცელმა ალესანდრო იანუციმ მესამედ შეარხია სტუმართა კარის ბადე, რითაც ნეაპოლელთა განადგურებას წერტილი დაუსვა. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ 1902 წელს დაარსებულმა „ვიჩენცამ“ ქვეყნის თასი მოიგო.

მატჩის შემდგომ გამარჯვებულთა მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი სიხარულს ვერ მალავდა: „ეს ბრწყინვალე გრძნობაა, რომელიც აქამდე არასდროს განმიცდია. თასი ჩემმა გმირებმა მოიგეს. თავად გმირთა მწვრთნელი ვარ და ვამაყობ კიდეც. სეზონის დასაწყისიდან სულ უფრო და უფრო ვყალიბდებოდით. ბევრს ვშრომობდით და შედეგიც სახეზეა. ეს სეზონი ბრწყინვალე იყო „ვიჩენცასთვის“. მეორე გოლის ავტორმა მაურიციო როსიმ თქვა, ფინალში გოლის გატანაზე გულში ვოცნებობდი და მიხარია, სურვილი რომ ავისრულეო. მსაჯის მიერ გაძევებულმა „ნაპოლის“ მწვრთნელმა კი ყველას ბოდიში მოუხადა თავისი საქციელის გამო, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ შეცდომებმა გამომიყვანა მდგომარეობიდანო. მერე დაამატა, ვფიქრობ, საქმე პენალტებამდე უნდა მისულიყო, თუნდაც ჩვენ წაგვეგოო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „ვიჩენცამ“ 95-ე წლისთავისთვის მშვენიერი საჩუქარი გაიკეთა და მომავალ სეზონში ევროტურნირებზე მეორედ იასპარეზებს. პირველად კლუბმა ევროპაში გასვლა უეფას თასზე 1978 წელს მოახერხა, თუმცა იმ გათამაშებას პირველსავე წრეში გამოეთიშა პრალის „დუკლასთან“ მარცხის შემდეგ. მაშინ, 1978 წელს, „ვიჩენცა“ იტალიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა მომავალში ევროპის 1982 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პაოლო როსის წყალობით.

ევროტურნირებამდე ჯერ შორია. მანამდე „ვიჩენცა“ ქვეყნის სუპერთასს შეეცილება იტალიის უტიტულოვანეს კლუბს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ძლეულ „იუვენტუსს“.

**ლაშა გოდუაძე**

# ტიტანთა ბრძოლა

სამშაბათიდან საფრანგეთის ოთხი ქალაქი — პარიზი, მონპელიე, ლიონი და ნანტი ოთხთა სუპერტურნირს უმასპინძლებს. ფრანგებმა მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თადარიგი კარგა ხანია დაიჭირეს, ახლა კი, დიდი ტურნირების მასპინძლობაში ისედაც გამოცდილებმა, ოთხთა შეჯიბრების სახით მსოფლიოს პირველობის ერთგვარი რეპეტიციის მოწყობა განიზრახეს. ტურნირის პირველ დღეს ლიონში მასპინძელი საფრანგეთი და პლანეტის ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილია ითამაშებენ.

ფრანგთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ ნაკრებში არ გამოიძახა ახალგამომცხვარი „ქეში“, ანაშის მოწევაში მხილებული ბერნარ ლამა, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ორთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ჟაკემ თქვა, შესაძლოა, ბერნარს ძალიან სურს ნაკრებში თამაში, მაგრამ დღესდღეობით მისი გუნდში ყოფნა გამართლებულად არ მიმაჩნია — არ არის გამორიცხული, ნარკოტიკების ტრფიალმა ლამამ მოთამაშეებზეც მოახდინოს გავლენაო. ყველას გასაკვირად, ჟაკემ გუნდში არ მიიწვია ქვეყნის ჩემპიონატის ორი ბომბარდირიც — „სტრასბურის“ დავიდ ზიტელი და „რენის“ სტეფან გივარში, რამაც მას კიდევ ერთხელ დაატეხა კრიტიკის ქარცეცხლი. ემემ ერთობ ძლიერი ნახევარდაცვის ხაზი შეკრიბა, რომელთაგანაც ხუთი იტალიაში თამაშობს. ჟაკეს თქმით, იტალიაში მოთამაშე ლეგიონერებიდან მხოლოდ იუვენტუსელ ზიდანზე და დეშამპზე არ წუხს, რადგან მათ უკვე მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა და ბოლო ტურში თავს არ მოიკლავენ. ამათგან განსხვავებით, „მილანში“, „ინტერსა“ და „სამპდორიაში“ წარგზავნილ ფრანგებს — მარსელ დესაის, ლილიამ ტურამს, იური ჯორკაეფს და კრისტიან კარემბეუს ბოლო ტურში დიდი ბრძოლა მოუწევთ. ესპანეთში მოთამაშე ფრანგებზე კი ჟაკემ თქვა, რომ ბლანმა, უედეკმა და ლისარასუმ კარგა ხანია ნაკრებში თამაშზე თანხმობა განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. ჟაკემ ისიც დასძინა, ტურნირისთვის ისე ვერ ვემზადებოდით, როგორც მინდოდაო. ბევრს აღარ გავაგრძელებთ და ფრანგთა თავკაცის 22 რჩეულის ვინაობას გაგაცნობთ: **მეკარეები** — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ კარბონიე (ოსერი), **მცველები** — ლორან ბლანი (ბარსელონა), ვინსენ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ფრანკ ლებეფი (ჩელსი), ბიქსენტ ლისარასუ (ატლეტიკო), ბრუნო ნგოტი (პსჟ), ლილიამ ტურამი (პარმა), **ნახევარმცველები** — დიდიე დეშამი, ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი), კრისტიან კარემბეუ პიერ ლეილი (სამპდორია), იური ჯორკაეფი (ინტერი), პატრიკ ვიეირა (არსენალი), **თავდამსხმელები** — იბრაჰიმ ბა (ბორდო), კრისტოფ დუგარი (მილანი), მარკ კელერი (კარლსრუე), პატრის ლოკო (პსჟ), ფლორიან მორისი (ლიონი), [illegible] (მეცი).

ფრანგების პირველი მეტოქის — ბრაზილიის მწვრთნელმა მარიო ზაგალომ გუნდის ნახევარი ბრაზილიაში მოთამაშე ფეხბურთელებით დააკომპლექტა, ნახევარი კი უცხოეთში გადახვეწილი მოთამაშეებისგან შეკრიბა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ზაგალომ ბოლო მომენტში ნაკრებში შეიყვანა ფორვარდი ედმუნდო და ნახევარმცველი ჟალმინია, ხალხი, რომლებმაც ონავრობით დაიგდეს სახელი. ედმუნდოს კარგა ხანია გუნდში არ უთამაშია — შარშან მანქანით ბავშვი გაიტანა, რამაც თავზარი დასცა, მაგრამ მერე ყველაფერმა გაიარა და უხეშობით და ჩხუბისთავობით განთქმული ედმუნდო ისე ათამაშდა, რომ აგერ ნაკრებშიც დაუძახეს. ზაგალოს არც რომარიო დაავიწყდა. მის რჩეულთა შორის უპრობლემოდ მოხვდა რონალდო, რომელიც ნაკრებში თამაშის გამო ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში და თასის ფინალში გამოაკლდება „ბარსელონას“, ისევე როგორც თანაკლუბელი ჯოვანი. „ბარსელონას“ დარად, „რეალიც“, იმავე მიზეზით, ზე რობერტოს და რობერტო კარლოსს მოიკლისებს. მოკლედ, ზაგალოს ნაკრები ასე გამოიყურება: **მეკარეები** — ტაფარელი (ატლეტიკო მინეირო), კარლოს ჟერმანი (ვასკუ და გამა), **მცველები** — კაფუ (პალმეირასი), სელიო სილვა (კორინთიანსი), გონსალვეში (ბოტაფოგო), მარსიუ სანტუში (ატლეტიკო მინეირო), ალდაირი (რომა), რობერტო კარლოსი (რეალი), ზე მარია (პარმა), **ნახევარმცველები** — ჟალმინია (პალმეირასი), დენილსონი (სან პაულუ), სეზარ სამპაიუ (იოკოჰამა), დუნგა (ჯუბილო ივატა), ფლავიო კონსეისაუ, მაურო სილვა (დეპორტივო), ჯოვანი (ბარსელონა), ლეონარდო (პსჟ), ზე რობერტო (რეალი), **თავდამსხმელები** — რონალდო (ბარსელონა), რომარიო (ფლამენგო), პაულიუ ნუნიეში (გრემიო), ედმუნდო (ვასკუ და გამა).

ახლა იტალიას გადავწვდეთ. ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე „სკუადრა ატურაში“ დაბრუნებული რობერტო ბაჯო ამხანაგურ მატჩში დაშავდა და შესაძლოა საფრანგეთში ვერც იასპარეზოს. „მილანი“ ქვედა ლიგის გუნდს ეთამაშებოდა და ბაჯომ სწორედ ამ მატჩში მიიღო ტრავმა. ბაჯო ჩემპიონატის ბოლო ტურში, „კალიარისთან“ ვერ ითამაშებს, რაც თავისთავად საეჭვოს ხდის მის ნაკრებში მოხვედრას. სასაფრანგეთო შემადგენლობას ჩეზარე მალდინი დღეს დაასახელებს.

ამასობაში, სანამ მონაწილე გუნდებში თითქმის ყოველდღე რაღაცა იცვლება, ტურნირის ორგანიზატორებმა ექვსივე მატჩის მსაჯები დაასახელეს:

03.06 საფრანგეთი — ბრაზილია
კიმ ნილსენი (დანია)
04.06 იტალია — ინგლისი
ილკა კოჰო (ფინეთი)
07.06 საფრანგეთი — ინგლისი
საიბ ბელქოლა (მაროკო)
08.06 იტალია — ბრაზილია
სერჟ მუმენტალერი (შვეიცარია)
10.06 ინგლისი — ბრაზილია
[illegible]
11.06 საფრანგეთი — იტალია
[illegible]

**ლაშა გოდუაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისელი ფორვარდი რობი ფაულერი, რომელიც „ლივერპულის“ ღირსებას იცავს, ფიფას მიერ დაწესებული სამართლიანი თამაშის პრიზის მოპოვების მთავარი კანდიდატია. ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა 24 მარტს „ლივერპული“ — „არსენალის“ მატჩის დროს ფაულერის საქციელი მოიწონა და განაცხადა, სხვამ ვინ უნდა მოიგოს პრიზი, თუ არა ამანო.

**ხორვატიის ჩემპიონმა „კროაციამ“ თასის გათამაშებაშიც ივარგა და ფინალურ მატჩში „ზაგრები“ დაჯაბნა — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები ქვეყნის საუკეთესო სნაიპერმა იგორ ცვიტანოვიჩმა და მარკ ვიდუკამ შეაგდეს, საპასუხო ბურთი კი ზელიკო ზოპიჩმა გაიტანა.**

აშშ-ის ნაკრები 17 ივნისს ჯექსონვილში ამხანაგურად ეთამაშება ისრაელის გუნდს. აქამდე მეტოქეები ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. პირველად, 1973 წელს ბერშევაში გამარჯვება მასპინძელ ებრაელებს დარჩათ — 2:0, მომდევნო სამი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

**საფრანგეთის „ნანტმა“ გაყიდა საუკეთესო ბომბარდირი, ჩადელი იაფეტ ნდორამი, რომელმაც წელს 21 გოლი შეაგდო. „ნანტმა“ ნდორამის სანაცვლოდ „მონაკოს“ 4 მილიონი დოლარი გამოართვა. საფრანგეთის 1995 წლის ჩემპიონმა კიდევ ერთი მოთამაშე, მაკელელე გაყიდა 2 მილიონ დოლარად მარსელის „ოლიმპიკში“.**

მექსიკელმა უგო სანჩესმა, რომელიც 1986-90 წლებში მადრიდის „რეალთან“ ერთად ზედიზედ ხუთჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ხუთშაბათს გამოსამშვიდობებელი მატჩი ითამაშა „პარი სენ ჟერმენის“ წინააღმდეგ. „რეალმა“ 4:1 მოუგო თასების თასის ფინალისტს და სანჩესმაც, რომელიც 38 გოლით ესპანეთის რეკორდსმენიც იყო ერთ ჩემპიონატში შეგდებული გოლებით, ჰეთ-თრიქით დაასრულა პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა.

**იტალიელი მცველი ლორენცო ამორუზო შესაძლოა 4 მილიონ გირვანქად „ფიორენტინადან“ „გლაზგო რეინჯერსში“ გადაბარგდეს. 26 წლის ამორუზო ჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერს ხელს კონტრაქტს. სავარაუდოდ, იტალიელი კვირაში 12 ათას გირვანქას მიიღებს.**

სამხრეთ კორეის გუნდმა ჰონკონგის ნაკრების 4:0 დამარცხებით გზა გაიკვლია აზიის შესარჩევი ტურნირის ფინალურ ეტაპზე და ათგუნდიანი ქვეჯგუფიდან ადრევე გასულ ყატარს, საუდის არაბეთს და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს შეუერთდა.

**სამხრეთ ამერიკაში გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები. ლიმაში პერუს „სპორტინგ კრისტალმა“ 3:0, ორი მატჩის ჯამში კი 4:2 დაამარცხა ბოლივიის „ბოლივარი“. ბუენოს აირესში არგენტინის „რასინგმა“ 1:0 მოუგო ურუგვაის „პენიაროლს“, რაკი პირველ შეხვედრაში ურუგვაელებმა ასეთივე ანგარიშით იმარჯვეს, დაინიშნა პენალტები — 3:2 „რასინგის“ სასარგებლოდ. ჩილეში „კოლო-კოლომ“ თანამემამულე „უნივერსიდად კათოლიკა“ 3:1 დაჯაბნა, ორი მატჩის საერთო ანგარიში კი 4:3-ია. ბრაზილიის „კრუზეირომ“ მეოთხედფინალის პირველ მატჩში 2:0 მოუგო თანამემამულე „გრემიოს“. ამათი განმეორებითი მატჩი მომავალ კვირას გაიმართება.**

შვედეთის თასი ზედიზედ მეორედ მოიგო სტოკჰოლმის აიკ-მა, რომელმაც ფინალში 2:1 მოუგო „ელფსბორგს“. თავიდან დედაქალაქელები აგებდნენ, მაგრამ 69-ე და 74-ე წუთებზე გამარჯვების მომტანი ორი გოლი გაიტანეს.

**ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „შეფილდ უენსდეიმ“ ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 31 წლის დეს უოქერს. მას პრემიერლიგიდან გავარდნილი „მიდლსბრო“ და „ნოტინგემიც“ ეკურკურებოდნენ, მაგრამ „შეფილდ უენსდეიმ“ 1993 წელს „სამპდორიადან“ 4 მილიონ დოლარად შეძენილი მცველის გაშვება არ ინება.**

საფრანგეთის ქალაქ ტულონში მიმდინარე 20 წლამდე ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე პორტუგალიამ მეორედაც იმარჯვა და კოლუმბიას სძლია 1:0, რითაც პირველ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში. მეორე ადგილზე მყოფმა ჩეხებმა ფრედ 0:0 ითამაშეს შოტლანდიასთან. მეორე ჯგუფში ხორვატებმა 3:2 დაამარცხეს ჰოლანდია.

**კონგოს ხელისუფლებამ ეროვნულ გუნდს სახელი შეუცვალა. თუ ადრე კონგოელი მობურთალები ლეოპარდებად, მათ ენაზე სვაჰილიდ იწოდებოდნენ, ამიერიდან მათ ლომები ანუ სიმბები შეერქმევათ.**

საფრანგეთის ნაკრების წევრი იბრაჰიმ ბა მომავალ სეზონში, სავარაუდოდ, „მილანში“ ითამაშებს. „ბორდო“ და „მილანი“ ტრანსფერზე უკვე შეთანხმდნენ. ბაში იტალიელები 7 მილიონ 800 ათას დოლარს იხდიან. ოთხწლიანი კონტრაქტი ამ დღეებში ოფიციალურად გაფორმდება. გარდა „მილანისა“, დაკარში დაბადებული ბას ხელში ჩაგდებას „არსენალი“ და „ბარსელონაც“ ცდილობდა.

**ბულგარეთის თასის გათამაშებაში იმარჯვა სოფიის ცსკა-მ, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში 3:1 დაამარცხა თანაქალაქელი „ლევსკი“.**

ჩეხეთის ნაკრების მცველი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი კარელ რადა მშობლიური ოლომოუცის „სიგმადან“ თურქეთის „ტრაბზონსფორში“ გადავიდა.

**საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის 21 წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფინეთი დაამარცხა 2:1 და ჯგუფის ლიდერ ნორვეგიას მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩება.**

სომხეთის თასის ფინალში ერევნის „არარატმა“ 1:0 დაამარცხა თანაქალაქელი „პიუნიკი“ და ქვეყნის თასის ხუთწლიანი ისტორიის მანძილზე მეოთხედ გაიმარჯვა. ერთადერთი გოლი მე-6 წუთზე სედრიკ ბაბაიანმა გაიტანა.

# მშვიდობით, «ბარსა»!



„რონალდო გვტოვებს, ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა — განაცხადა „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა, — ჯერ არ ვიცი, სად გადავა, მაგრამ, ვგონებ, მისი მომავალი „ინტერს“ დაუკავშირდება, რადგან ჩვენთან საუბრის მერე რონალდოს აგენტები თითქმის ერთი საათი ესაუბრნენ ამ გუნდის წარმომადგენლებს. მან წასვლა გადაწყვიტა. ჩვენ ხელს არ შევუშლით“. ნუნიესი ერთობ გააბრაზა რონალდოს საქციელმა, რადგან ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირმა რამდენიმე დღის წინ კატალონიელებთან ცხრაწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მერე კი მასში ჩადებული ერთ-ერთი მუხლით ისარგებლა და იგი გააუქმა. იმ კონტრაქტით რონალდო წელიწადში 3 მილიონ-ნახევარ დოლარს მიიღებდა, მაგრამ რატომღაც არ ისურვა. „ყველაფერი, რაც ნუნიესმა თქვა, სიცრუეა და დროა, ამას თვალი გავუსწოროთ. იგი სხვა რამეს მეუბნებოდა, ჩემს აგენტებთან კი რადიკალურად განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა. შვიდი თვეა, გვატყუებს. ძალიან მწყინს, აქაურობას რომ ვტოვებ, მაგრამ ასე ჯობს“ — თქვა რონალდომ ცხრაწლიანი კონტრაქტის გაუქმებიდან ერთი დღის შემდეგ. ესპანელები კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ ცხრაწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში რონალდოსთვის წინასწარ მისაცემ 14 მილიონ დოლარს, რომლის ფეხბურთელისთვის გადარიცხვასაც „ბარსელონა“ ვირჯინიის კუნძულებზე მდებარე კომპანიის საშუალებით აპირებდა, მაგრამ მისი აგენტების მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი მოითხოვდნენ ამ თანხის ესპანური კომპანიების საშუალებით გადარიცხვას, ამას მოჰყვა ურთიერთობის გამწვავება და კონტრაქტის შეწყვეტა.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ფორვარდი ვერც ესპანეთის ჩემპიონატის დარჩენილ სამ ტურში და ვერც ქვეყნის თასის ფინალში ითამაშებს. მოკლედ, „დეპორტივოსთან“ მატჩი „ბარსელონაში“ რონალდოსთვის ბოლო გამოდგა. უკვე გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ მასთან ერთად „ბარსელონადან“ ჯოვანისაც გაუშვებენ, რადგან მან რობსონის კრიტიკას მიჰყო ხელი და არც შეურაცხყოფა ითაკილა — მაგ ბებერ ინგლისელს ჭკუა სულ არ ჰქონიაო. თავად რობსონმა წმინდა ინგლისური სიდინჯით აუღელვებლად ურჩია ყრმა ჯოვანის, სანამ რამეს იტყოდე, კარგად დაფიქრდიო. ესპანელები უკვე იმაზე წუხან, ვინ შეცვლის რონალდოს. კატალონიელთა კლუბში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ვარიანტია — მსოფლიოს უძვირფასესი მოთამაშე, „ნიუკასლის“ თავდამსხმელი ალან შირერი.

ჭორები ჭორებად, მაგრამ კატოვიცეში მყოფ შირერს გუშინდელ პრესკონფერენციაზე რომ ჰკითხეს, რას იტყოდი „ბარსელონაში“ გადასვლის შესახებო, ალანმა განაცხადა: „ასეთი რამ პირველად მესმის. შარშან „ნიუკასლთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ეს სეზონი ჩემთვის კარგი გამოდგა და არა მგონია, კონტრაქტის დამთავრებამდე სადმე წავიდე. დღესდღეობით „ნიუკასლში“ ბედნიერი ვარ და სხვაგან გადასვლაზე არც მიფიქრია“. საუბრის ბოლოს კი შირერმა დასძინა, მეამაყება, მსოფლიოს უძვირფასესი მოთამაშე რომ ვარო.

**გიგა ქოჩახიძე**

## საფრანგეთი

# საჩუქრად მის უდიდებულესობას

„გასულ სეზონში ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება „მონაკომ“ მოახდინა. მოკლედ და კონკრეტულად ასე შემიძლია ვთქვა: ის საფრანგეთში საუკეთესო გუნდია. ტრავმების გამო, კარგა ხნით, შიფო და დი მეკო აკლდათ, მაგრამ ამ ორი ძლიერი ფეხბურთელის არყოფნას დიდი კვალი არ დაუტოვებია. სიმართლე რომ გითხრათ, ჟან ტიგანა არჩევანით განებივრებულიც კია“ — ვის, ვის და ბებერ ვარსკვლავს, ყოფილ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, ახლა „ბორდოს“ მოთამაშეს ჟან-პიერ პაპენს ნამდვილად დაეჯერება. მრავლისმნახველი ფეხბურთელის ამ სიტყვებს უტყუარ, უემოციო, უეჭველი მოწმე ჰყავს და ამ მოწმეს საფრანგეთის 1996-97 წლების ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი ჰქვია. ცხრილს მიკერძოება არ შეუძლია. მას არავინ მოსწონს და არავის უბზუებს ცხვირს. ცხრილმა მხოლოდ ეს იცის: ამდენი მოგება, იმდენი წაგება, ამდენი კი ფრე გატანილ-გაშვებული, ქულათა რაოდენობა და... „მონაკო“ საფრანგეთის ჩემპიონია.


სონი ანდერსონი

ფრანგული ფეხბურთის მწვერვალზე მონაკოელები ბოლოს ცხრა წლის წინ იყვნენ. მაშინ მათ სათავეში დღევანდელი ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ედგათ, მოედანზე კი მთავარი ფიგურა გლენ ჰოდლი გახლდათ, სწორედ ის, ინგლისის ნაკრების მწვრთნელად გამხდარმა ბოლო ხუთ თვეში საქართველოს ორჯერ რომ მოუგო. მას მერე „მონაკოს“ შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. გუნდში ენცო შიფო რაა, იურგენ კლინსმანი და ჟორჟ ვეა ბრწყინავდნენ, მაგრამ პირველები ველარ გახდნენ, სანამ საქმეთა გაძღოლა ოთხმოციანი წლების საფრანგეთის ლეგენდარული ნაკრების ვარსკვლავმა ჟან ტიგანამ არ ითავა. მოვიდა ახალი თაობა, დადგა დღევანდელი დღე და აი, „მონაკო“ ისტორიაში მეექვსედ ხდება ქვეყნის ჩემპიონი.

„მონაკოს“ წლევანდელი ტიტული დიდი იუბილის აღსანიშნავი დიდი საჩუქარია. საფრანგეთზე ამდენ საუბარში ხომ არ დაგვავიწყდა, რომ მონაკო სამთავროა, ცალკე სახელმწიფო, რომელიც იმდენად პატარაა, რომ დამოუკიდებელ პირველობას ვერ ატარებს და ამიტომ თავისი გუნდი დიდი ქვეყნის ჩემპიონატში გამოჰყავს? თუ ეს არ დაგვავიწყებია, ის კი ნამდვილად არ გვეხსომება, რომ ამ ქვეყნის მთავართა გვარი გრიმალდია და მას წლეულს ხელმწიფობის 700 წელი უსრულდება. მაშ ასე, მეექვსე ტიტული მეშვიდასე წლისთავზე, ასეთია ტიგანას და მისი ბიჭების ძღვენი.

...პოლონური გუნდის, კრაკოვის „ჰუტნიკის“ გარდა, „მონაკოსთან“ შეხვედრებში თავს ყველანი ფავორიტებად მიიჩნევდნენ. ახლა, უკვე უეფას თასის წლევანდელ გათამაშებაზე ვსაუბრობთ და მასში მონაკოელთა მონაწილეობას ვიხსენებთ. მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და „ჰამბურგზე“ ლაპარაკიც ზედმეტია. მთელმა „ბებერმა კონტინენტმა“ იცის, რომ გერმანული გუნდები ფრანგების წინააღმდეგ სათამაშოდ თავდაჯერებულნი გადიან, რამეთუ სწამთ, რომ მათი ათლეტური, მოწესრიგებული და უკომპრომისო მანერა თავისას გაიტანს.

— გულწრფელად ვიტყვი, „მიონხენგლადბახთან“ და „ჰამბურგთან“ გამარჯვებამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა — თქვა ტიგანამ — ჩემი ფეხბურთელობის დროიდან კარგად ვიცი, რომ გერმანელი მეტოქეები ევროპაში ყველაზე რთულად დასაძლევთაგანნი არიან. ფიზიკურად, ინტელექტუალურად და ტექნიკურად საუკეთესოდ უნდა იყო მომზადებული, რომ მათ აჯობო. „გლადბახთან“ და „ჰამბურგთან“ შეხვედრებში სწორედ ასე გამოვიდა, მოთამაშეებმა ჩემი დავალება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს: დაცვაში ფხიზლად და სოლიდურად იმოქმედეს და არც კონტრშეტევის უმცირესი შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან. ორივეჯერ, გერმანიაში რომ ჩავედით ვიცოდით, რომ მართალია სტუმრად ვთამაშობდით, ჩვენი მიზანი გამარჯვება იყო“.

ზედიზედ ორი გერმანული გუნდის ძლევის შემდეგ „მონაკოს“ საოცრად რეკლამირებული ინგლისის პრემიერლიგის სახელგავარდნილი წარმომადგენელი „ნიუკასლი“ ერგო მეტოქედ. აქაც ფავორიტებად ინგლისელები ითვლებოდნენ, ჯამარჯვება კი სამთავროელებს დარჩათ.

დამარცხდა „მონაკო“ ნახევარფინალში, მილანის „ინტერთან“. „ინტერთან“ დამარცხება, მოგეხსენებათ არაფრისგანაა გასაკვირი. პირიქით, „ინტერის“ წაგებას თუ შეიცხადებს კაცი, მაგრამ ტიგანას გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იტალიურ გოლიათს დიდი ბრძოლა გაუმართა, მეტადრე შინ, საპასუხო შეხვედრაში.

საუკეთესო ევროპული მიღწევა კი გრიმალდების დინასტიის ქვეშევრდომთ 1992 წელს ჰქონდათ, ისევ ვენგერის დროს, როდესაც თასების თასის ფინალში გავიდნენ. იქ მონაკოელებმა ბრემენის „ვერდერთან“ წააგეს. რაც შეეხება ნახევარფინალებს, ამ ეტაპს მათ წლევანდლამდე ორჯერ მიაღწიეს, 1990-ში თასების, 1994-ში კი ჩემპიონთა თასზე.

ნუთუ გასულ სეზონში „მონაკოს“ ფეხი არ დაცდენია? დაუცდა, როგორ არა. ეს იყო საფრანგეთის თასის გათამაშების პირველსავე მატჩში, მეორე დივიზიონის „ლავალთან“. მართლაც სენსაციური დამარცხება გახლდათ, მაგრამ ის, წარმატებებმა დაჩრდილა.

### სონი ანდერსონი

ენცო შიფო? რა თქმა უნდა. ვიქტორ იკპება? თავისთავად ცხადია. ტიერი ანრი? აბა რა, მომავალი მისია. სონი ანდერსონი? დიახ, მასზე შევჩერდეთ.

„მონაკოს“ ქომაგებს ორი რამისა სწამთ: გრიმალდების დინასტია კლუბს ფულს და ყურადღებას არ მოაკლებს და სონი ანდერსონი გოლებს გაიტანს. მისი სრული სახელია ანდერსონ და სილვა, ბრაზილიელია, ადრე სამშობლოში, „ვასკუ და გამაში“ და „გუარანიში“ გამოდიოდა, შემდეგ შვეიცარიის „სერვეტში“ თამაშობდა საიდანაც საფრანგეთში, მარსელის „ოლიმპიკში“ მოხვდა და ბოლოს „მონაკოში“ ამოჰყო თავი. მარსელიდან მონტე-კარლოში გადაბარგების შემდეგ, 1994-95 წლების სეზონში, 11 გოლი გაიტანა. მეტი ვერ შეძლო, რადგან მუხლის ტკივილმა გააწამა, შემდეგ პირველობაზე კი 21 სიხარული მოგვარა გულშემატკივრებს. სონი ნაღდი ფორვარდია, ჩინებულად არტყამს, ბურთს მსუბუქად ამუშავებს და მსუბუქად დრიბლიორობს. „მონაკოს“ პრეზიდენტმა ჟან-ლუი კამპორამ ამ ხნის მანძილზე დიდძალი ენერგია დახარჯა ბრაზილიელის მყიდველთა მოგერიებაში.

— სონი მხოლოდ შეტევათა დამგვირგვინებელი არ არის — ამტკიცებს მისი თანაგუნდელი ფრანკ დუმა — მართალია, ბურთის ბადეში გაგზავნის საუცხოო ინსტინქტი აქვს, მაგრამ მის თამაშში გაცილებით მეტია ჩახვეული. მისი ჩინებული ტექნიკა გუნდს დიდ სამსახურს უწევს. იგი მოედანზე მუყაითად შრომობს და თანაგუნდელს რომ გაატანინებს, ისე უხარია, როგორც საკუთარი გოლი. იგი ნებისმიერ საფეხბურთო ფინტსა და ილეთს ასრულებს, მაგრამ მათ გაპრანჭვისთვის არასდროს იყენებს. ასეთ, ენითაუწერელ ბრაზილიურ თვისებებთან ერთად, სონი საოცრად დისციპლინირებული პროფესიონალია. დღეს ევროპაში არა მგონია მასზე უკეთესი ფორვარდები მრავლად იყვნენ. ბედნიერები ვართ, რომ გუნდში მისნაირი კაცი ვყავს.

ანდერსონი საფრანგეთში ბრწყინავს, ევროპაშიც სახელგანთქმულია, მაგრამ სამშობლოში, ბრაზილიაში, ნაკრების მწვრთნელებს ვერაფრით მოაწონა თავი — ეროვნულ გუნდში ერთხელაც არ უთამაშია. „მონაკოს“ თავკაცის, ჟან ტიგანას აზრით, სონის ოცნება იოლად შეიძლება რეალობად იქცეს.

— როდესაც სონი „მარსელიდან“ ჩვენთან გადმოვიდა, დიდი ამბავი იყო ატეხილი, ახლა ნაკრებში მიიწვევენო — იგონებს ტიგანა — მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ეროვნულ გუნდს გარეთ ყოფნა მასზე ცუდად მოქმედებს, იმიტომ რომ მაღალი კლასის მოთამაშეა. ის იმსახურებს ბრაზილიელთა ბანაკში ყოფნას. დიდ სანაკრებო მატჩებში იგი სენსაციურად გაიბრწყინებს. მეტიც, ვფიქრობ საერთაშორისო დონეზე თამაში მას მეტად გააშლევინებს ფრთებს.

**პაპუნა ძიძია**

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონაკო | | 2:0 | 2:1 | 3:1 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 5:1 | 3:0 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 2:0 | 2:0 | 4:1 | 38 | 23 | 10 | 5 | 69:30 | 79 |
| 2 | პსჟ | 0:0 | | 1:0 | 2:2 | 2:0 | 1:1 | 3:0 | 3:1 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 4:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 1:2 | 3:1 | 5:0 | 38 | 18 | 13 | 7 | 57:31 | 67 |
| 3 | ნანტი | 1:3 | 0:0 | | 3:1 | 0:1 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 3:0 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 5:1 | 3:3 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 7:0 | 38 | 16 | 16 | 6 | 61:32 | 64 |
| 4 | ბორდო | 2:1 | 5:3 | 0:0 | | 1:0 | 0:0 | 3:1 | 2:2 | 1:2 | 3:1 | 4:0 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 0:1 | 3:0 | 4:1 | 38 | 16 | 15 | 7 | 59:42 | 63 |
| 5 | მეცი | 2:0 | 0:1 | 0:1 | 1:1 | | 1:0 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 1:2 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 38 | 17 | 11 | 10 | 40:30 | 62 |
| 6 | ოსერი | 2:0 | 2:1 | 2:2 | 2:1 | 2:3 | | 1:2 | 7:0 | 0:1 | 0:2 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 4:1 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 38 | 17 | 10 | 11 | 49:32 | 61 |
| 7 | ბასტია | 0:0 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 2:1 | 2:1 | | 3:1 | 3:1 | 2:2 | 2:0 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 2:0 | 4:2 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 38 | 17 | 10 | 11 | 54:47 | 61 |
| 8 | ლიონი | 3:3 | 1:1 | 0:1 | 2:2 | 0:0 | 2:0 | 4:2 | | 2:0 | 1:1 | 8:0 | 2:1 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 2:0 | 3:0 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 38 | 16 | 12 | 10 | 59:50 | 60 |
| 9 | სტრასბური | 0:2 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 1:3 | 3:0 | | 2:1 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 3:0 | 2:0 | 3:1 | 3:0 | 3:1 | 38 | 19 | 3 | 16 | 52:49 | 60 |
| 10 | მონპელიე | 0:1 | 0:3 | 2:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 3:1 | 2:1 | 1:4 | | 2:0 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 38 | 12 | 15 | 11 | 40:40 | 51 |
| 11 | მარსელი | 3:1 | 1:0 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 3:0 | 1:0 | 3:1 | 0:1 | 2:2 | | 2:1 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 3:1 | 0:1 | 4:1 | 5:1 | 1:0 | 38 | 12 | 13 | 13 | 43:48 | 49 |
| 12 | გინგამი | 2:1 | 2:2 | 0:0 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 3:1 | | 1:0 | 2:2 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 0:1 | 38 | 11 | 13 | 14 | 32:36 | 46 |
| 13 | ლანსი | 1:3 | 1:2 | 0:4 | 3:4 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 2:1 | | 0:1 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 1:0 | 3:2 | 38 | 12 | 9 | 17 | 40:52 | 45 |
| 14 | ლე ავრი | 1:2 | 1:0 | 3:1 | 1:2 | 0:0 | 0:2 | 0:1 | 4:1 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:0 | | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:3 | 0:0 | 1:0 | 38 | 10 | 13 | 15 | 34:43 | 43 |
| 15 | კანი | 0:2 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | | 1:0 | 2:0 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 38 | 9 | 14 | 15 | 25:41 | 41 |
| 16 | რენი | 0:3 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 1:3 | 1:0 | 1:3 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 4:2 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 3:0 | | 1:1 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 38 | 10 | 10 | 18 | 40:58 | 40 |
| 17 | კაენი | 0:1 | 1:3 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 2:3 | 2:2 | 1:1 | 3:0 | 0:1 | 1:0 | 0:1 | 0:2 | 4:0 | 3:0 | 0:0 | | 1:1 | 1:0 | 1:2 | 38 | 7 | 16 | 15 | 35:46 | 37 |
| 18 | ნანსი | 1:3 | 0:0 | 1:3 | 1:1 | 2:3 | 0:0 | 2:2 | 2:3 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 1:2 | | 2:2 | 1:0 | 38 | 9 | 10 | 19 | 33:51 | 37 |
| 19 | ლილი | 1:4 | 0:1 | 3:3 | 0:0 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 2:4 | 0:4 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 2:2 | 1:2 | 3:1 | 1:0 | 2:0 | | 3:2 | 38 | 8 | 11 | 19 | 32:58 | 35 |
| 20 | ნიცა | 0:2 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 3:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 1:2 | 1:2 | 0:3 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 1:1 | | 38 | 5 | 8 | 25 | 30:68 | 23 |

თასის ფინალი: ნიცა — გინგამი 1:1 (პ 4:3), ლიგის თასის ფინალი: სტრასბური — ბორდო 0:0 (პ 6:5)

## Association Sportive de Monaco

დაარსდა 1924 წელს

საფრანგეთის ჩემპიონი 1961, 1963, 1978, 1982, 1988 და 1997 წლებში

საფრანგეთის თასის მფლობელი 1960, 1963, 1980, 1985 და 1991 წლებში

სტადიონი — ლუი II (18 500)

### მწვრთნელი

### ჟან ტიგანა



„მონაკოს“ მწვრთნელი, წარსულში დიდი ფრანგი ფეხბურთელი ჟან ტიგანა თექვსმეტი წელი თამაშობდა „ტულონში“, „ლიონში“, „ბორდოსა“ და „მარსელში“. კარიერის მანძილზე ხუთჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონი, ორჯერ კი თასს ფლობდა. ეროვნულ გუნდში ტიგანამ 53 შეხვედრა ჩაატარა და 1984 წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. მწვრთნელობა 1993 წელს დაიწყო, სათავეში „ლიონს“ ჩაუდგა და მეორე ადგილზე გაიყვანა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოება მოუვიდა, რის გამოც იქაურობა დასტოვა. იმავე წელს „მონაკოს“ მწვრთნელი გახდა.

### შემადგენლობა

**მეკარეები**

ფაბიენ ბარტეზი 28.06.1971
სტეფან პორატო 19.09.1973

**მცველები**

პატრიკ ბლონდო 27.01.1968
ერიკ დი მეკო 7.09.1963
მარტენ ჯეტუ 15.12.1974
ფრანკ დიუმა 9.01.1968
ჟილ გრიმანდი 11.11.1970
ფილიპ ლეონარი 14.02.1974
ლილიან მარტენი 28.05.1971

**ნახევარმცველები**

ემანუელ პეტი 22.09.1970
ალი ბენარბია 8.10.1968
ჯონ კოლინზი, შოტლანდია 31.01.1968
ენცო შიფო, ბელგია 19.02.1966
სილვენ ლეგვინსკი 6.10.1973
ლორან ვიო 8.10.1969

**თავდამსხმელები**

სონი ანდერსონი, ბრაზილია 19.09.1970
ვიქტორ იკპება, ნიგერია 12.06.1973
ტიერი ანრი 17.08.1977
მარკო გრასი, შვეიცარია 8.08.1968
დავიდ ტრეზეგე 15.10.1977

# ევროპაში 11 გუნდით

ბოლო დღეს ჩემპიონის ბედი არ წყდებოდა, საფრანგეთის პირველი გუნდი ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა მოხდებოდა უკანასკნელ წამს. უნდა გარკვეულიყო მეორე გუნდის ვინაობა მეორე ადგილისთვის ბრძოლა ყველა ქვეყანაში ყოველთვის საგანგებოდ მიმდინარეობს, მაგრამ საფრანგეთსა და კიდევ შვიდ ევროპულ ქვეყანაში წლეულს საგანგებო ელფერი შეიძინა. მიზეზი ის გახლავთ, რომ უეფას გადაწყვეტილებით ამ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაებმებიან, ხოლო რას ნიშნავს ეს პრესტიჟის თუ შემოსავლის თვალსაზრისით, „ბებერ კონტინენტზე“ ყველასთვის ნათელია.

ამრიგად, ჩემპიონობადაგულებულ „მონაკოს“ ბოლო ტურში სხვისი სატურნირო ადგილის და თავისი სახელის ბედი ებარა. იგი „ნანტს“ ხვდებოდა, რომელსაც 30 შეხვედრაში ზედიზედ არ წაეგო და „პარი სენ ჟერმენს“ „ვერცხლს“ ეცილებოდა. „მონაკოს“ „ნანტთან“ ფეხი რომ დაცდენოდა, ალბათ ათასი ჭორი აგორდებოდა, ქულა აღარ სჭირდებოდა და თამაში დათმოო, მაგრამ ტიგანას გუნდმა ღირსება არ დაკარგა და „კანარის ჩიტებს“ სონი ანდერსონის მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლით 2:1 მოუგო. პარიზელებმა კი იმავე დღეს შინ „სტრასბურს“ ასეთივე ანგარიშით აჯობეს — მათაც ბოლო წუთზე შეაგდეს გადამწყვეტი ბურთი და მეორე ადგილზე გავიდნენ.

პარიზის გუნდს ფრიად უცნაური სეზონი ჰქონდა. თასების თასზე მშვენიერი ასპარეზობის ფონზე (ფინალში გავიდა), მისი შინაური შედეგები უშნოდ ჩანდა. აგერ სტატისტიკაც: 13 ნოემბერს „ლილთან“ გამარჯვების შემდეგ მარტამდე ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო და შესაბამისად, „მონაკოსთან“ მუდმივ 4-5-6 ქულიან ჩამორჩენას ვერაფერი მოუხერხა, მისი მოცილე „ნანტი“ კი სულ სხვა გზას ადგა: გუნდმა ჩემპიონატის პირველ ექვს შეხვედრაში მარცხი იწვნია და ამას... ბოლო ტურამდე, დაუმარცხებელი სერია მოაყოლა. როგორც ნანტელთა მწვრთნელმა ჟან კლოდ სიუდომ აღიარა, ასეთ პროგრესს თავადაც არ ელოდა.

მაშ ასე, ახალი სეზონიდან ჩემპიონთა თასს „მონაკო“ და „პარი სენ ჟერმენი“ შეუტევს, უეფას თასის ალმართს კი მესამე ადგილზე გასული „ნანტი“ და კიდევ სამი გუნდი შეუყვება. ესენია მეოთხეზე გასული „ბორდო“, მეხუთე — „მეცი“ და ქვეყნის ლიგის თასის მფლობელი „სტრასბური“. „ბორდოს“ ურიგო წელიწადი არ ჰქონია, იგი „ნანტს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა და გზად ლიდერები „მონაკო“ და „პარი სენ ჟერმენიც“ დაამარცხა, მაგრამ მწვრთნელი წაუვიდა და ახლა ახლის ძიება და მასთან შეჩვევა მოუწევს. ბორდოელთა თავკაცი რონალდ კურბისი კი „მარსელში“ გადავა და „ძველი პორტის“ სახელოვან გუნდს გაწვრთნის.

წინა ჩემპიონი „ოსერი“ ამჯერად მეექვსე ადგილს და ინტერტოტოს თასზე გასვლას დასჯერდება. ამ შეჯიბრებაში მის გარდა ჩაებმებიან „ბასტია“, „ლიონი“ და „მონპელიე“, თასების თასზე კი სულ ბოლო ადგილზე გასული, მაგრამ თასის მფლობელი „ნიცა“ იასპარეზებს.

ახლა ლიგიდან გავარდნილებს რაც შეეხებათ: ვინაიდან მომავალ სეზონში პირველი დივიზიონის გუნდების რაოდენობა ოციდან თვრამეტამდე მცირდება, ბოლო ოთხი გუნდის ნაცვლად უმაღლეს საზოგადოებას მხოლოდ ორი შეემატა. მათი ვინაობა ცნობილია: „ტულუზი“ და „შატორუ“, რომელიც ადრე უძლიერესთა შორის არასდროს ყოფილა. დივიზიონი კი დასტოვეს „ნიცამ“, „ლილმა“, „ნანსიმ“ და „კაენმა“.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სტეფან გივარში (რენი) | 22 |
| იაფეტ ნდორამი (ნანტი) | 21 |
| სონი ანდერსონი (მონაკო) | 19 |
| დავიდ ზიტელი (სტრასბური) | 19 |
| ალენ კაველია (ლიონი) | 19 |
| ანტონ დრობნიაკი (ბასტია) | 18 |
| პატრის ლოკო (პსჟ) | 16 |
| ლუდოვიკ ჟიული (ლიონი) | 16 |
| ჟან-პიერ პაპენი (ბორდო) | 16 |

# ხვალ ფინალია

დღეს იაპონიის ქალაქ კუმამოტოში მსოფლიოს XV ჩემპიონატის ნახევარფინალებია, ხვალ კი ჩემპიონი გამოვლინდება. რუსები — ფრანგებს ხვდებიან, შვედები — უნგრელებს. ამ ოთხეულიდან მხოლო უნგრელებს არ ჰქონიათ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, შვედეთი სამგზის ჩემპიონია, რუსეთი — ორგზის (ერთხელ სსრკ-ს სახელით), ფრანგებმა კი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატში გაიმარჯვეს.

1890 წელს გერმანელმა კონრად კოხმა შექმნა თანამედროვე ხელბურთის მსგავსი თამაში რაფბოლი. იმავე წელს ჩეხეთში შეიქმნა მისი ჩეხური ვარიანტი „ჰაზენა". 1898 წელს კი დანიელმა ჰოლგერ ნილსენმა სიახლეს „ჰანდბოლდი" დაარქვა. თითქმის სამოცი წელია, ამ სახეობაში ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატები.

პირველად 1938 წელს, გერმანელები გახდნენ ჩემპიონები, თუმცა, გერმანიაში ჩატარებულ ამ ტურნირს, ძნელია ჩემპიონატი ვუწოდოთ დღევანდელი გაგებით. მასში სულ ოთხი გუნდი მონაწილეობდა.

შემდეგ, ომის გამო, კარგა ხანს გადაიდო მსოფლიოს პირველობები და მხოლოდ 1954 წელს განახლდა. მაშინ შვედეთში ექვსი გუნდი მონაწილეობდა და ჩემპიონობა კვლავ მასპინძლებმა, შვედებმა მოიპოვეს. მომდევნო ჩემპიონატები სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა, 1993 წლიდან — ყოველ ორ წელიწადში. ომისშემდგომ პირველ ორ პირველობაში მძლავრობდნენ შვედები, რომელთაც შინ წარმატების შემდეგ 1958 წელს ახალ სახელმწიფოში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც იმარჯვეს. ეს უკვე სოლიდური პირველობა იყო 16 გუნდის მონაწილეობით. შვედებმა ყველა მეტოქე აშკარად დაჩაგრეს, (მხოლოდ ერთხელ გაუჭირდათ დანიელებთან 13:12) და მეორედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. იმ დროის შვედეთის ნაკრებში გამოირჩეოდნენ მსოფლიო ხელბურთის ვარსკვლავები: სტიგ ლენარტ ოლსონი, სტენ აკერშტედტი, ჩელ იენსონი.

შემდეგ ხელბურთი სოციალისტურ ქვეყნებშიც განვითარდა და აღმოსავლეთ ევროპამ ნელ-ნელა შეავიწროვა აღიარებული ლიდერები. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ხელბურთმა რუმინეთში. რუმინეთის ბრწყინვალე ნაკრებმა 1961-იდან 1974 წლამდე ხუთიდან ოთხჯერ მოიგო ჩემპიონატი და მსოფლიოს დიდი მოთამაშეები მისცა: პეტრე ივანესკუ, იონ მოზერი, გეორგე გრუია, სტეფან ბირტალანი, კრისტიან გაცუ, კორნელ პენუ და სხვები.

სამოციანი წლების რუმინელთა დიდი გუნდის მწვრთნელი 72 წლის იონ კუნსტ-გერმანესკუ კუმამოტოში საპატიო სტუმრად იყო მიწვეული. სამწუხაროდ იგი სასტუმროს ნომერში გულის შეტევით გარდაიცვალა. მეოთხედფინალური შეხვედრების წინ მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

რუმინელთა მეტოქეობა მხოლოდ 1967 წელს შეძლო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ვოიტეკ მარეშისა და ფრანტიშეკ ბრუნას მეთაურობით. მათ რუმინელებს ნახევარფინალში 19:17 მოუგეს. მერე კი ფინალში დანიის ნაკრები 14:11 დაამარცხეს სკანდინავთა მეკარის ერიკ ჰოლსტის ჩინებული თამაშის მიუხედავად.

1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საბჭოთა კავშირის ნაკრები გამოჩნდა. მის შემადგენლობაში 21 წლის ჯემალ ცერცვაძეც ასპარეზობდა, მაგრამ გუნდმა შემდეგ ეტაპზე ვერ გააღწია.

1964 წლის ჩემპიონატზე კი, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მე-5 ადგილი დაიკავა, ამ გუნდში სამი ქართველი გამოდიოდა — ჯემალ აბაიშვილი, ლერი კარტოზია და ჯემალ ცერცვაძე. ცერცვაძემ შესანიშნავად ითამაშა ამ პირველობაზე, საუკეთესო ბომბარდირებში მოხვდა და მსოფლიოს უპირველეს ვარსკვლავებს შორის დაიკავა ადგილი. თუმცა, არა მარტო ამ პირველობაზე, ცერცვაძე საუკეთესოზე საუკეთესო იყო ყველა დროის ყველა დიდ ოსტატთა შორის.

1978 წელს დანიაში გერმანელებმა დაიბრუნეს 40 წლის წინ დაკარგული ჩემპიონობა და ფინალში სსრკ-ს დამარცხებით (20:19) მეორედ მოიპოვეს ეს ტიტული. გუნდში ბრწყინვალედ თამაშობდნენ იოახიმ დეკარმი და ერჰარდ ვუნდერლიხი, მაგრამ მათი წარმატება უმთავრესად ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელის ვლადო შტენცლის დამსახურება იყო. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა თბილისელმა ალექსანდრე ანპილოგოვმა, რომელიც სულ მალე გახდა მსოფლიო ხელბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი.

სწორედ ანპილოგოვის, კრავცოვისა და კიდიაევის შესანიშნავი თამაშის წყალობით მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა სსრკ-ს ნაკრებმა 1982 წელს, როდესაც ფინალში იუგოსლავები დაამარცხა. თუმცა, 1986 წელს უკვე იუგოსლავები ალზევდნენ საჩემპიონო ტახტზე შვეიცარიაში ბრწყინვალედ მოგებული მსოფლიო პირველობის შემდეგ. ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო მათი ლიდერი ლუბომირ ლავრნიჩი.

1990 წელს, ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, მსოფლიო ხელბურთის ელიტას დაუბრუნდა შვედეთის გუნდი. ბოლო სამ ჩემპიონატში ამ ქვეყნის ნაკრები მუდმივად საუკეთესო სამეულშია.

1993 წელს რუსებმა ახლა უკვე თავისი სახელით მოიპოვეს ჩემპიონობა. გუნდში გამოირჩეოდნენ ნიკოლაი გოპინი და მეკარე ანდრეი ლავროვი. ისინი წლევანდელ ჩემპიონატზეც შესანიშნავად თამაშობენ. 1993 წელს პრიზიორებში პირველად მოხვდნენ ფრანგები, თუმცა წინა წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე მოპოვებული მათი მესამე ადგილი სპეციალისტებს შემთხვევითი ეგონათ.

ორი წლის წინ კი ფრანგები საბოლოოდ დამკვიდრდნენ საუკეთესოთა შორის, როცა ფინალში შვედეთის უძლიერეს გუნდს სძლიეს და სათამაშო სახეობებში პირველებმა შესძინეს საფრანგეთს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მათ, ფეხბურთელების არ იყოს, შავ-თეთრ ნაკრებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შავი რიჩარდსონი და თეთრი სტეკლენი.

ბოლო წლებში ხელბურთი ძალზე სწრაფად ვითარდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. გამოჩნდნენ აქამდე არასახელბურთო ქვეყნები. ესპანეთი უკვე ხელბურთის ლიდერთა შორისაა. მისი საკლუბო გუნდები ევროტურნირებში იმარჯვებენ, ძალზე გაძლიერდნენ ნორვეგიისა და ისლანდიის გუნდები. ცოტა ხანში ამასვე უნდა ველოდეთ იტალიელებისგან. გარდა ამისა, ხელბურთი აღარაა მარტო ევროპელთა თამაში. ძლიერი ნაკრები ჰყავთ ეგვიპტელებს, რაც მათ ამ ჩემპიონატზეც დაამტკიცეს. ისწავლეს თამაში კორეელებმა, ალჟირელებმა, ტუნისელებმა და მათი ევროპელებთან შეხვედრების შედეგი აღარ არის წინასწარ განსაზღვრული. კონკურენცია მსოფლიო ასპარეზზე გაიზარდა. საკმარისია ითქვას, რომ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 24 გუნდს შორის ვერ მოხვდნენ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რუმინეთი და ორგზის გამარჯვებული გერმანია.

მიმდინარე ტურნირის მეოთხედფინალში რუსებმა შეაჩერეს ფრანგებისა და იუგოსლავების მძლეველი კორეელები, საიმედოდ ჩაკეტეს მსოფლიოს წინა და ამ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი იუნ კუონგ შინი და გაანადგურეს აზიელები 32:15.

ცენტრალური მატჩი შვედეთსა და ესპანეთის შორის შვედებმა დამატებით დროში მოიგეს. ესპანელთა ლიდერებმა დუშებაევმა და ... ვერ შეძლეს მატჩის ბედის თავიანთ სასარგებლოდ შემოტრიალება. შვედების ლიდერმა ერიკ ჰაიასმა კი საუკეთესოდ ითამაშა და სკანდინავიელებმაც გაიმარჯვეს 28:24.

უნგრელებმა გაუძლეს ისლანდიელებს მათი ბომბარდირიანად — გრიმსონიანად და თერთმეტი წლის შემდეგ პირველად მოხვდნენ ნახევარფინალში. (26:25) ფრანგებმა ეგვიპტელები დაამარცხეს 22:19.

დღეს, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან რუსეთი — საფრანგეთი და შვედეთი — უნგრეთი. ჩემპიონატის უკვე განვლილი ეტაპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფინალში რუსები და შვედები უნდა გავიდნენ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ფრანგებმა, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონობის ტიტულის მოპოვების შემდეგ ძალზე სუსტად ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზეც და ოლიმპიადაზეც, განაცხადეს, ჩვენთვის მთავარი მსოფლიოს ჩემპიონობის შენარჩუნებააო.

**ილია მხეიძე**

### ყველა პრიზიორი

1938 გერმანია, ავსტრია, შვედეთი
1954 შვედეთი, გფრ, ჩეხოსლოვაკია
1958 შვედეთი, ჩეხოსლოვაკია, გაერთიანებული გერმანია
1961 რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი
1964 რუმინეთი, შვედეთი, ჩეხოსლოვაკია
1967 ჩეხოსლოვაკია, დანია, რუმინეთი
1970 რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია
1974 რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია
1978 გფრ, სსრკ, გდრ
1982 სსრკ, იუგოსლავია, პოლონეთი
1986 იუგოსლავია, უნგრეთი, გდრ
1990 შვედეთი, სსრკ, რუმინეთი
1993 რუსეთი, საფრანგეთი, შვედეთი
1995 საფრანგეთი, შვედეთი, ხორვატია



# მძლეოსნობაა თუ კრივი?

მძლეოსნობა სპორტის დედოფალი და ზაფხულის ოლიმპიადების თვალ-მარგალიტი კია, მაგრამ პოპულარობა მაინც აკლია, შეტადრე ჩრდილოეთ ამერიკაში. მორბენალი მაიკლ ჯონსონი რომ ფენომენალური რეკორდის შემოქმედი მაიკლ ჯონსონია, საზოგადოებამ არ იცის და ამ კაცს ვარსკვლავად არა ცნობს. კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი, ტაკიმასხარა დენის როდმანი და კიდევ მობურთალ-კეტბურთელ-ჰოკეისტ ვარსკვლავთა მასა, ანაც შავტუხა ჯეელი მეგოლფე თაიგერ ვუდზი ჯონსონზე ბევრად უფრო დიდ სპორტსმენებად მიიჩნევიან.

რაკი მძლეოსნობა ამერიკაში კნინი სპორტია, არც ბიზნესი წყალობს. სპონსორი და ტელევიზია რომ არ ესევა მძლეოსნობას, ვარსკვლავთა გასამრჯელოც ცოტა გამოდის. არადა, სადმე თუ ტრიალებს სპორტში ფული, ეგ ადგილი ამერიკაა. სწორედ ამის გამო განუცხადებია ჯონსონს, თუ ასე გაგრძელდა, მალე შეჯიბრებებს მხოლოდ ათლეტები და მსაჯები დაესწრებიანო.



მაიკლ ჯონსონი

ამერიკულ მძლეოსნობას შველა ჭირდებოდა. ცნობილი ოთხი პროფესიული ლიგის მოდელი მას ვერ გამოადგებოდა, რადგან მძლეოსნობა ბურთის გუნდური თამაში არაა. პოტენციურ მშველელს იდეები, წესითა და რიგით, უფრო დოლიდან უნდა ესესხა, რადგან იქაც გასწრებ-გამოსწრებაა, მაგრამ ასე მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა — ამერიკელები, აბა, რისი ამერიკელები არიან, თუ რაიმე ორიგინალური არ მოიგონეს. ჰოდა, გადაწყვიტეს, მძლეოსნობა ექციათ ... კრივად!

საბედნიეროდ, დიდი პრომოუტერი და მსოფლიოს უპირველესი ყალთაბანდი დონ კინგი არ მიუწვევიათ. საქმეს ხელი მოკიდა „მაგელან ენთერთეინმენთ გრუპმა" (მაგელანის გამრთობმა ჯგუფმა), რომელმაც მიიხედ-მოიხედა და ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს თვალში მძლეოსნობის წარმოსაჩინებელი გრანდიოზული შოუს მთავარ შერკინებად სპრინტერთა პირისპირ შებმა დასახა.

მონაწილეები იოლად შეირჩა. ატლანტის ოლიმპიადაზე ორ-ორგზის ჩემპიონები გახდნენ ამერიკელი მაიქლ ჯონსონი და კანადელი დონოვან ბეილი. პირველმა 200 და 400 მეტრზე სირბილი მოიგო, მეორემ — 100 მეტრზე სირბილი და 4X100 მეტრზე ამანათრბენშიც დაიდო წილი.

რაკი სხვადასხვა „წონითი კატეგორიების" „მოკრივენი" უნდა შეეჯიბრებინათ, დასადგენი იყო „რაუნდთა რაოდენობაც". ჰოდა, მაგელანელებმაც საშუალო არითმეტიკული გამოიყვანეს და დისტანციად 150 მეტრი დაათქვეს.

მძლეოსნობის პრომოუტერებს კინგი არ უხმიათ და არც ლას-ვეგასში წასულან. „რინგი" ტორონტოს 45-ათასიან „სქადოუმში" მოიწყვეს. ამ ცადაწვდილ გუმბათა დარბაზში „ბლუჯეიზის" პროფესიონალი კეტბურთელები მასპინძლობენ მეტოქეებს.

შეირჩა ტელე-სისტემაც, შოუს მთელ მსოფლიოს რომ მიაწვდის. იგია სი-ბი-ესი. ამით მძლეოსნობას იმიჯიც გამოუკეთდება და დიდძალი ფულიც შემოვა.

ბეილი 100 მეტრს სულ სწორზე გარბის, ჯონსონს კი 200-ზე მოხვევა უწევს. ორგანიზატორებმა ესეც გაითვალისწინეს და 75-მეტრიან ვირაჟს 75-მეტრიანი სწორი მოაყოლეს.

კრივის დარად, ყველგან გაჩაღდა ფსონების მიღებაც. დაგროვდა დიდი ფული. ტოტალიზატორებმა ფავორიტად ჯონსონი შერაცხეს.

ერთი, თუნდაც ძალიან დიდი, კრივის სანახავად დარბაზში ვინ მოვაო და დაიგეგმა „ანდერ-ქარდიც": ჭოკით ხტომაში ერთმანეთს უნდა შებმოდნენ უკრაინელი სერგეი ბუბკა და სამხრეთაფრიკელი ოკერტ ბრიტცი, 100 მეტრზე თარჯრბენში უნდა გაჯიბრებოდნენ ამერიკელი გეილ დივერსი და შვედეთში გათხოვილი რუსი ლუდმილა ნაროჟილენკო, სიმაღლეზე ხტომაში — კუბელი ხავიერ სოტომაიორი და ამერიკელი ჩარლზ ოსთინი, სიგრძეზე ხტომაში კი ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-ქერსი და გერმანელი ჰაიკე დრექსლერი. ტიტულები არცერთს აკლია და მათი ჩამოთვლა, მკითხველს, უბრალოდ დაღლის და ყურადღებას გაუბნევს. ამათ ხომ მხოლოდ ის ევალებათ, რომ მოსეირეები შეაქციონ და მთავარი ნომრის საკადრისად აღსაქმელად შეამზადონ.

განგებამ ორგანიზატორებს გეგმები ოდნავ აურია. მხოლოდ ბოლო ანდერ-ქარდი დაურჩათ ხელუხლებელი. როგორც კრივში ხდება ხოლმე, ზოგი დაშავდა, ზოგიც ავად გახდა, სოციალიზმის ერთგულმა კუბამ კი თავისი ბიჭი მტრის ქვეყანაში არ გაუშვა. ჰოდა, ლეგენდარული ბუბკა შეიცვალა ამერიკელი ლორენს ჯონსონით, დივერსი — იამაიკელი მიშელ ფრიმენით, შინ დამწყვდეული სოტომაიორი კი — შვედი პატრიკ შობერგით.

ახლა „მოკრივეთა" ჰონორარებზეცა და ჯილდოზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მარტო მონაწილეობისთვის ჯონსონსა და ბეილის 500-500 ათას დოლარს უხდიან. გამარჯვებულს კიდევ ერთი მილიონი ერგება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გარბენი დაახლოებით 15 წამს გასტანს, მაშინ ისე გამოვა, რომ მსოფლიოს უსწრაფესი კაცი ერთ წამში 100 ათას დოლარს გამოიმუშავებს. რა გვეთქმის, ტაისონის საკადრისი შედეგია!

მონაწილეთა საქციელს აღარ იკითხავთ? — აქაც შეინიშნება მოკრივეთა წაბაძვა. მორბენლები რიგრიგობით წყრებიან, ერთურთს ემუქრებიან, ასე და ასე გიზამო, მერე ძმებად აცხადებენ თავს და ა.შ. ჯონსონი, როგორც ამერიკის რჩეული, აცხადებს, ბეილი პატივს არა მცემსო, რაკი ბეილი „უფროსი ძმის" შესახებ ამბობს, გინდ მაჯობოს, მსოფლიოს უსწრაფესი კაცი მაინც მე ვიქნებიო. კანადელს ისიც შეუთვლია ამერიკელისთვის, გარბენი უმარდესის გამოსავლენად რომ იმართებოდეს, მასში, აბა, ვინ ჩაგრთავდაო. ისე კი, შეჯიბრის მნიშვნელობა ორივეს მშვენივრად გაუცნობიერებია: მძლეოსნობაში ახალი ხანის დადგომას მოასწავებსო!

ერთი სიტყვით, ახლა ასეთი ჩანს მძლეოსნობის მომავალი. სიახლე ამ სპორტს ალბათ მოუხდება, მაგრამ როგორც ყოველ გადატრიალებას, ნაკლი ალბათ მასაც ექნება.

ერთი, რომ დიდი ჯილდოებისა და ფსონების გამო ჩაწყობა გახშირდება. აკი ასეც ყოფილა თანამედროვე მძლეოსნობის წინარე ეპოქაში.

თურმე ნუ იტყვით, ფულისთვის სირბილი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბრიტანეთში ყოფილა გავრცელებული. რაკი ჯენთლმენი ბატონი ლაქიას ეტლში არ ჩაისვამდა, ეს თურმე ქვეითად მისდევდა და კარგად იწრთობოდა. შეჯიბრშიც ამის წყალობით აბამდნენ.



დონოვან ბეილი

მერე, დედოფალ ვიქტორიას ეპოქაში ინგლისის დიდ სამრეწველო ქალაქებს მოსდებია ადამიანთა დოღები. გამოჩენილან პრომოუტერებიც. 1887 წელს ლონდონში დიდი აყალმაყალიც მომხდარა. „ხაზეინობას" ვერ გადაუწყვეტია, ვის უნდა გაემარჯვა. ამის გამო შეჯიბრი ჩაშლილა. ხალხს ფსონების დაბრუნება მოუთხოვია, და ამისთვის რომ ვერ მიუღწევია, ტრიბუნები დაულეწავს და ფულემის უბნის სტადიონი გადაუბუგავს. ამის გამო 1906 წელს გამოუციათ კანონი, მძლეოსნობაზე სანაძლეოს დადებას რომ კრძალავდა.

მომავალში რა და როგორ იქნება, ვნახავთ. ისე კი, საგანგაშო სიგნალი ჯონსონ — ბეილის შებმასაც თან ახლავს. ნამიბიელი ფრანკი ფრედრიქსი ამათზე ნაკლები მორბენალი როდია, მაგრამ შოუს მომწყობთ იმისი გაფიქრებაც არა სურთ, რომ ბეილი — ჯონსონის დუელში ვინმე მესამე ჩაერიოს. როგორა გავს ეს ყველაფერი დიდი კრივიდან ლენოქს ლუისისა და რიდიკ ბოუს გარიყვას!

ეს ყველაფერი კარგი. ახლა მეტოქეებზეც უფრო წვრილად მოვყვეთ.

წელს ორივე 30 წლისა მოიყრება. ისე კი, ბეილი ჯონსონზე სამი თვით უფროსია.

ტანად ორივე 186 სანტიმეტრია და 84 კილოს იწონის. ჯონსონი ტეხასშია დაბადებული და იქვე დალასში ბინადრობს, ბეილი კი იამაიკელია, მაგრამ ახლა სახლობს ონტარიოში, რომლის დედაქალაქიცაა ტორონტო.

ჯონსონი ორივე დისტანციაზე უძლეველია: 400 მეტრზე 51-ჯერ გაუმარჯვნია, 200-ზე — 29-ჯერ. 200 მეტრზე სირბილის ფენომენალური მსოფლიო რეკორდი 19,32 წამს უდრის და ატლანტის შარშანდელ ოლიმპიადაზეა დამყარებული.

ბეილის 100 მეტრის რეკორდიც — 9,84 წამი ატლანტურია. ორივეს მოპოვებული აქვს ჯესი ოუენსის სახელობის პრემია. რაც შეეხება ბოლო მსოფლიო პირველობას, 1995 წელს გეტებორგში რომ გაიმართა, იქაც ორივემ ორ-ორი მედალი მოიგო და იმავე დისციპლინებში. რაც შეეხება 150 მეტრის მსოფლიო რეკორდს, იგი ბრიტანელმა ჯონ რიჯისმა 1993 წელს დაამყარა და 14,93 წამს უდრის. ეს რეკორდი 200 მეტრზე სირბილის დროს, საშუალედო შედეგის აღრიცხვითაა მიღებული, რადან 150 მეტრი არა-ტრადიციული მანძილია და შეჯიბრებების პროგრამაში თითქმის არსადაა.

დაბოლოს, ისიც ვიკითხოთ, თუ ვინ გაიმარჯვებს. ჯონსონი ხანდახან ცუდად იღებს სტარტს, მაგრამ 200 მეტრი მეტოქეთა გასასწრებად მაინც ყოფნის. ახლა 50 მეტრით უმცირდება შანსი. ისე კი, ისევ კრივის ანალოგიას თუ მოვიშველიებთ, წესითა და რიგით იმან უნდა გაიმარჯვოს, ვინც ბოლო რაუნდს ნაკლებად დაღლილი შეხვდება, ანუ თუ მძლეოსნობის ენაზე ვიტყვით, მაქსიმალური სიჩქარის მიღწევის შემდეგ უფრო მეტს გაუძლებს და ხელ-ფეხი გვიან შეუნელდება.

**რეზო ნემსაძე**

**P. S.** აქამდე რაც მოვყევით, ყველაფერი კვირა ღამით, ტორონტოში მოხდება. ერთი დღით ადრე ანუ ამაღამ ჰენგელოში (ჰოლანდია) ტრადიციული დიდი ტურნირია და „კრივი" იქაცაა დანიშნული: არატრადიციულსავე 2 მილზე იქ ერთმანეთს შეეჯიბრება ორი ოლიმპიური ჩემპიონი — ალჟირელი ნურადინ მორსელი (1500) და ეთიოპი ჰაილე გაბრესილასიე (10000). გამარჯვებული თუ 8 წუთში ჩაეტევა, ჯილდოდ აქაც მილიონს (!) მიიღებს. რაც შეეხება ფრედრიქსის ბედ ქვეშ მყოფს, იგი კენიელი მსოფლიო რეკორდსმენი დანიელ კომენია. მორსელისა და გაბრესილასიეს საზიარო პატრონმა „ადიდასმა" იგი გასაგები მიზეზების გამო „მოტეხა".

აკრობატიკა

## როგორც უჭირთ, ისე უძლებენ

ქართველი აკრობატები ჩვენი შეჭირვებული ქვეყნის კვალობაზე რაც შეუძლიათ, იმას აკეთებენ. მართალია, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა სანატრელი გაუხდათ, მაგრამ ჯერჯერობით შინაური ჩემპიონატებით გადიან იოლას. ახლახან საქართველოს თასისთვის შეეჯიბრნენ ერთმანეთს. თითქმის ყველა უძლიერესი ფავორიტი მონაწილეობდა ამ ტურნირში — მხოლოდ სპორტში ახლახან დაბრუნებულმა ინგა გიორგობიანმა და ნატაშა ანისიმოვამ არ იასპარეზეს. ერთი თვეა, რაც ყოფილმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა დარინა ქენქაძესთან ერთად ხელეხლა „შეკრეს“ სამეული, ამიტომ საგანგებო გრაფიკით ვარჯიშობდნენ და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ეს შეჯიბრება კი სამსოფლიოსჩემპიონატოდ მზადებისთვის საჭიროდ არ მიიჩნიეს.

სხვა ყველა ტიტულოვანმა თუ უტიტულო აკრობატმა მოიყარა თავი ტანვარჯიშის ფედერაციის დარბაზში. მათგან საჩინონი, უთუოდ, მხტომელები ვეფხია ხუბაევი და ალეკო ფხიკაძე იყვნენ — ამ ბიჭებმა ახლახან ვირონეჟის საერთაშორისო ტურნირზე მე-2 ადგილი დაიკავეს. სპეციალისტები იმედოვნებენ — ამათ თუ ასე გააგრძელეს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედლებსაც გამოკრავენ ხელს.

კარგი იქნებოდა, ტურნირზე ნატაშა ცაგარელი და ნანა პატარიძეც გვეხილა, მაგრამ, როგორც ქართველ სპორტსმენთა დიდმა ნაწილმა, მათაც თავს უშველეს: ცაგარელი თურქეთშია, პატარიძე კი გერმანიაში. ჯერჯერობით იმის გაგება მოვახერხე, რომ უცხო ქვეყანაში ორივე თავისი პროფილით მუშაობს — აკრობატიკას არ ღალატობენ.

აკრობატთა საქართველოს თასის გათამაშებას მაღალი დონისას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ, რაც იყო, ესეც საქმეა: აკრობატიკას ნაკლები ყურადღება ექცევა და დაფინანსებაც მწირი აქვს, ამიტომაც, ქართული აკრობატიკის თავკაცები, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამენ და სპორტის დეპარტამენტისა და ტანვარჯიშის ფედერაციის შემწეობით ცდილობენ ერთ დროს ევროპული სტანდარტების საკადრისი ქართული აკრობატიკის გადარჩენას.

ვაჟები

1. ალეკო ფხალაძე (თბილისი), 2. ვეფხია ხუბაევი (თბილისი), 3. ჯაბა ხიმშიაშვილი (აჭარა)

წყვილები

1. ზურაბ ჭყონია, თენგიზ კახიძე (აჭარა), 2. ლაშა გუთიაშვილი, ვასილ საბაშვილი (თბილისი), 3. ალეკო ხიხარულიძე, ოთარ ჯიმშელეიშვილი (რუსთავი)

ოთხეულები

1. გელა ხოსროშვილი, ლევან ბუზიაშვილი, დიმიტრი ბუზიაშვილი, გელა ზაუტაშვილი (თბილისი), 2. ანზორ კვერნაძე, ოთარ ბრეგვაძე, გიორგი ცერცვაძე, გიორგი გოგიბერაშვილი (ქუთაისი), 3. ვასილ საბაშვილი, ჯაბა გუთიაშვილი, ბესიკ ბუზიაშვილი, კახა კანდელაკი (თბილისი)

გოგონები

1. ხათუნა ცანავა (აჭარა), 2. მარინა ხოლიაკოვა (აჭარა), 3. ვიკა ლებედევა (რუსთავი)

წყვილები

1. მაგული მიქელაძე, რიუზან ბელიანი (აჭარა), 2. რუსუდან გუგუშვილი, მაკა გელაძე (თბილისი), 3. თეონა ლოსაბერიძე, ნატო კუპრაშვილი (ქუთაისი)

სამეულები

1. თამარ ჯიბაძე, თინათინ ქურიძე, ინდირა ქენქაძე (აჭარა), 2. ეკრიკო გორგლიშვილი, თამარ ტატიშვილი, ელიზა კახურაშვილი (თბილისი), 3. მაია გამჯაშვილი, ნინო ჯღარკავა, ნათია თედიაშვილი (თბილისი)

კალათბურთი

# კვარაცხელია და მისი ბიჭები



ვაჟა კვარაცხელია თავის აღსაზრდელებთან

ომში დამარცხებულ ქვეყანაში პრობლემებს რა დალევს. ამათგან უპირველესი ფსიქოლოგიური ხასიათისა გახლავთ: დამარცხება მწარედ აჩნდება პიროვნების ცნობიერებას და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა ძალზე ძნელია, ზოგისთვის კი სულაც შეუძლებელი. ასეთ ვითარებას ისეთი დიდი ქვეყნებიც ვერ მორევიან ადვილად, როგორნიც ამერიკა და გერმანია არიან და აკი რამდენი რამ გვსმენია იმის თაობაზე, როგორი დეპრესიული მდგომარეობა იყო გერმანიაში მეორე მსოფლიო და ამერიკაში ვიეტნამის ომების შემდეგ. აბა, რაღა უნდა ითქვას პატარა ქვეყანაზე რომელსაც საკუთარ ტერიტორიას ართმევენ, მკვიდრ მოსახლეობას კი საკუთარი სახლკარიდან ერეკებიან.

სწორედ ასეთ დროს თბილისში გადმოხვეწილი „სოხუმი 91“-ის კალათბურთელთა გუნდის მეორე მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ გუნდის შექმნა განიზრახა. სოხუმელ ლტოლვილ ბავშვებს შორის მოიძია კალათბურთის მოყვარულნი, მათ რამდენიმე თბილისელიც დაუმატა და ასე შეიქმნა გუნდი „კოლხა“. გუნდს, ცხადია, ბაზა ესაჭიროებოდა, აქ კი ვაჟას მხარში ამოუდგა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი გია შალამბერიძე, რომელმაც სასახლის დარბაზი დაუთმო, ახალი ფარებისთვის თანხეპიც მოიძია და გუნდს ფორმაც შეუძინა. „კოლხა“ ჯერ ბავშვთა ლიგაში ასპარეზობდა, მერე პირველ ლიგაში, ახლა კი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. უსახლკაროდ დარჩენილი ბიჭები, რომლებიც შეიძლებოდა ქუჩაში აღმოჩენილიყვნენ და ვინ იცის, რა საქმიანობისთვის მოეკიდათ ხელი, ვაჟა კვარაცხელიამ კალათბურთით გააერთიანა და ახლა ისინიც ამ სპორტის სიყვარულით ცხოვრობენ. ამჟამად „კოლხა“ 100-ზე მეტ სხვადასხვა ასაკის ბავშვს აერთიანებს. უმაღლესი ლიგის გარდა გუნდი ჰყავს სტუდენტურ ლიგაში, ოთხი გუნდიც — ბავშვთა პირველობებში. ყველა ამ გუნდის ვარჯიშს ვაჟა კვარაცხელია უძღვება. ამაში მას ლერი პირველი და ლერი იოსავა ეხმარებიან. „კოლხა“ წლიდან წლამდე უმატებს თამაშს და თუ შარშან ბევრი გუნდისთვის იოლი საკბილო იყო, წელს არაერთი მეტოქე გაამწარა და წაგებულ თამაშებშიც არ გამოიყურებოდა ურიგოდ. მართალია, „კოლხასთვის“ ჯერჯერობით ძნელია ქართული კალათბურთის ლიდერებთან „ვითასა“ და „დინამოსთან“ გამკლავება, მაგრამ ვაჟა კვარაცხელია აცხადებს, რომ თუ ყველაფერი რიგზე იქნა, 1999 წლისთვის საქართველოში უძლიერესი გუნდი ეყოლება. „თუ“ იმიტომ, რომ სხვა გუნდები „კოლხას“ მოთამაშეებზე ნადირობენ და მათ გადაბირებას ცდილობენ. კვარაცხელიას გულს ის უკლავს, რომ ისეთი მწვრთნელებიც, რომელთაც ერთი მოთამაშეც კი არ გაუზრდიათ და ჯერ არაფერი ღირებული არ გაუკეთებიათ, მზამზარეულზე ცდილობენ ფონს გასვლას და კოლხების თავის გუნდში გადაყვანას. არადა, ეს ბიჭები კალათბურთში მან მოიყვანა. სოხუმელთა ძველი გუნდიდან მხოლოდ ლერი პირველი შემორჩა, სწორედ ის, რომელიც კვარაცხელიას ბავშვთა აღზრდაში ეხმარება. დანარჩენები კალათბურთელებად სწორედ აქ მოსწავლეთა სასახლეში ჩამოყალიბდნენ. მათ შორის ბევრი პერსპექტიული მოთამაშე: დავით კვაჭაძე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია, დავით უგრეხელიძე — ჭაბუკთა ნაკრებში. წელს სახელგანთქმულმა „ბარსელონამ“ საქართველოს ხუთი პატარა კალათბურთელი ბარსელონაში ორკვირიან შეკრებაზე მიიწვია. სპეციალისტებმა თბილისის „არწივის“ (მწვრთნელი — ზურაბ სამხარაძე) კალათბურთელებთან ზაზა ფაჩულიასთან, ბადრი ნათობაძესთან და გიორგი მარკოიშვილთან ერთად ორი კოლხელი — ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ირაკლი კეიდიაც შეარჩიეს. ეს ხუთეული 21 ივნისიდან ორ კვირას დაჰყოფს ცნობილ ესპანურ კლუბში.

მოკლედ, „კოლხა“ დიდ საკალათბურთო გაერთიანებად გადაიქცა და გვჯერა, ის სიყვარული, რამაც ვაჟა კვარაცხელიას თავის დროზე ინჟინრის პროფესია მწვრთნელობაზე გააცვლევინა და რამაც განაცდელის ჟამს გუნდის შექმნა გადააწყვეტინა, თავის ნაყოფს გამოიღებს.

**კოტე მგალობლიშვილი**

NBA. ფლეი-ოფი

კონფერენციების ფინალები

აღმოსავლეთი

ჩიკაგო 4-1 მაიამი

28 მაისი. ჩიკაგო — მაიამი 100:87
ჯორდანი (28 ქულა); ლონგლი და ჰარპერი (14) — ჰარდევეი (27); მაშბურნი (13)

დასავლეთი

იუტა 4-2 ჰიუსტონ

29.05. ჰიუსტონი — იუტა 100:103
დრექსლერი (33); ბარკლი (20); ოლაჯუონი (16) — სტოქტონი (25); მელოუნი (24); ჰორნაჩეკი (18)

იუტა წინა ხუთი წლის მანძილზე სამჯერ დამარცხდა კონფერენციის ფინალში. ამჯერად ჯონ სტოქტონმა ბოლო წამზე სამქულიანი ჩააგდო და გუნდი გაიყვანა ნბა-ს პირველობის ფინალში, რომელიც ხვალ, ჩიკაგოს მატჩით იწყება და რომელიმე მეტოქის ოთხ გამარჯვებამდე, მაქსიმუმ 15 ივნისამდე გაგრძელდება. თამაშები კვირას, ოთხშაბათსა და პარასკევს გაიმართება, რათა ჰოკეის ნჰლ-ის სთენლის თასის ფინალებს არ დაემთხვეს.

ძალოსნობა

# მუხრანი ევროპაში მეექვსეა

„ეს, კაცმა რომ თქვას, სენსაციაც კია — ესოდენ მსუბუქი წონის დაძლევით მეექვსე ადგილის დაკავება ძალიან მოულოდნელი იყო“ — მითხრა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გურგენიძემ.

მუხრან გოგია და მისი მწვრთნელი ავთანდილ გახოკიძე გუშინ დაბრუნდნენ ხორვატიის ქალაქ რიეკიდან, სადაც გოგიამ VI ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატში.

„ოლიმპიადის შემდგომ წელიწადს წამყვანი ძალოსნები ევროპულ ფიცარნაგზე გამოსვლას თავს არიდებენ, ზოგი დაღლილობას იმიზეზებს, ზოგიც საერთოდ მიდის სპორტიდან. ჩვენ ხორვატიაში მხოლოდ ერთი სპორტსმენი მივავლინეთ, სხვებთან შედარებით გოგია ნორმალურ ფორმაში იყო, თუმცა ჩვეულ კონდიციამდე ძალიან ბევრი უკლდა. მუხრანმა ატაცში — 165, აკვრაში 200 კილო ასწია და ორჭიდის ჯამში მე-6 ადგილი დაიკავა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს მისთვის ვერაფერი შედეგია. მუხრანს პირველი ვარჯიშის შემდეგ წელი ასტკივებია და რა წონითაც დაიწყო, იმ შედეგით დაასრულა შეჯიბრი“ — მაცნობა ბატონმა რამაზმა.

პრეზიდენტს ძალოსნობის სხვა ამბებიც ვკითხე: ესპანეთის ქალაქ [illegible]ში 22-30 ივნისს ჩატარდება ევროპის პირველობა იუნიორთა შორის. იქ საქართველოს 108 კილოგრამამდე წონის ვალერი სარავა წარადგენს. ვალერი [illegible] კარგ ფორმაშია და ესპანეთიდან ბრინჯაოს მედალი მაინც უნდა ჩამოიტანოს. სხვა წონით კატეგორიებშიც გვყავს კარგი ბიჭები, მაგრამ ისინი მედლებს ჯერ ვერ მოგვიტანენ, მე-5-მე-6 ადგილებს კი არავინ დააფინანსებს.

უფროსებს მსოფლიოს ჩემპიონატამდე, რომელიც 7-17 დეკემბერს გაიმართება ტაილანდში, სერიოზულ ტურნირში მონაწილეობა დაგეგმილი არა აქვთ. საქმე ისაა, რომ ძალოსნობაში შეჯიბრი მოსამზადებელ ეტაპად არ ითვლება, პირიქით, ასპარეზობის შემდეგ სპორტსმენს სამი-ოთხი კვირა სჭირდება დასასვენებლად და ძალების აღსადგენად. ძალოსანს მაქსიმუმის ჩვენება წელიწადში ორ-სამჯერ შეუძლია. და ბოლოს, 25-28 ივნისს, ზუგდიდში ვაპირებთ საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას, მაგრამ ვადები შეიძლება შეიცვალოს, რადგან ყველაფერი დაფინანსებაზეა დამოკიდებული“.

**ერეკლე ძიძილაშვილი**

ჰოკეი

# კანადური თუ ევროპული?

NHL. სტენლის თასი

ფინალი

### ფილადელფია ფლაიერზი

ნჰლ-ში კლუბი 1967 წლიდან გამოდის. იგი სტენლის თასის ორგზის მფლობელი (1974 და 1975 წლები) და ხუთგზის ფინალისტია. კლუბის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშენი ყოფილან მეკარე პარენტი, ფორვარდები კლარკი (1210 ქულა ჩემპიონატებში) და ლიჩი (19 შაიბა თასის ერთ გათამაშებაში — ლიგის რეკორდია).

### დეტროიტ რედ უინგზი

„დიდი ექვსეულის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, თასის შვიდგზის (1936, 1937, 1943, 1950, 1954, 1955 წლები) მფლობელი. კლუბის საუკეთესო ხანა 50-იანი წლები იყო, რომელიც 1955 წელს დეტროიტმა თავისი უკანასკნელი, მე-7 თასის მოპოვებით დააგვირგვინა. წლევანდელი ფინალი კლუბის ისტორიაში საიუბილეო — მე-20-ა. საუკეთესო ჰოკეისტები: ლეგენდარული გორდი ჰოუ (786 შაიბა 1023 პასი) და მისი პარტნიორები სიდ აბელი და ტედ ლინდსეი, ნორმ ულმანი (490 გოლი და 739 პასი) და ალექს დელვეკიო (456+825).

### ფილადელფია — დეტროიტი

90-იანი წლების განმავლობაში პირველად მოხდა, თასის ფინალში განსხვავებული სტილის გუნდები რომ შეხვდნენ ერთმანეთს. ორივე კლუბს ის საერთო აქვს, რომ შეტევაზე აკეთებს აქცენტს, თამაშის მანერის კი რა მოგახსენოთ: ფილადელფია ტრადიციულ კანადურ სტილში თამაშობს, ძალოვან და აგრესიულ ჰოკეის მიმართავს, დეტროიტი კი უფრო ევროპულ — კომბინაციურ, ტექნიკურ და იმპროვიზაციულ თამაშს ამჯობინებს. ფილადელფიაში ტანმაღალმა, ძლიერმა ჰოკეისტებმა მოიყარეს თავი, რომლებიც უბრძოლველად მოედნის არცერთ წერტილს არ თმობენ, დეტროიტის ძალა კი ტექნიკურად და გონივრულად მოთამაშე ჰოკეისტებია, ამიტომ არც გასაკვირია, რომ „წითელფრთიანებს“ ძირითად შემადგენლობაში 7 ევროპელი ჰყავთ.

რახან შემადგენლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც ვიტყვით, რომ დეტროიტი უფრო დაბალანსებული და სამი ერთნაირად ძლიერი სამეულით დაკომპლექტებული გუნდია. კარგად მოერგო კლუბს ახალშეძენილი შენაჰანი (47 შაიბა სეზონში) მცველი მერფის გამოცდილებაც ერთობ წაადგათ „წითელფრთიანებს“. ფილადელფიის წარმატება-წარუმატებლობას კი ბევრად ლინდროსის ყოფნა-არყოფნა განაპირობებს. სწორედ ტრავმის გამო ლინდროსის მოსაკლისებამ შეაფერხა წლევანდელი სეზონის დასაწყისში „ფლაიერზი“. ფილადელფიელთაგან გამოსარჩევი ლეკლერიც არის, რომელიც თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია კოფისაც. ლიგის ეს ერთ-ერთი სახელოვანი მცველი ჯერჯერობით არაფრით გამოირჩევა, მაგრამ გავიხსენოთ, რომ შარშან იგი დეტროიტში თამაშობდა და თავისი სურვილის წინააღმდეგ მიაბრძანეს კლუბიდან.

ორივე ფინალისტის აქილევსის ქუსლი მეკარეთა რგოლია — ვერცერთი დაიკვეხნის ძლიერი გოლკიპერით. თუმცა, დეტროიტელმა ვერნონმა ბრწყინვალედ ჩაატარა სერია კოლორადოსთან და თუ ამ განწყობას შეინარჩუნებს, „მფრინავებს“ ძალზე გაურთულდებათ საქმე.

და ბოლოს: მობერებული კერპები — გრეცკი და ლემიე რომ შეცვალოს და თავადაც ასეთის სახელი დაიმკვიდროს, ლინდროსს ჰაერივით სჭირდება თასის მფლობელის ტიტული. მაგრამ თუ წინა ეტაპზე „მფრინავს“ თავისი სათაყვანო მოთამაშეთა კლუბების ძლევა მოუხდა, ამჯერად ფილადელფიას არანაკლებ პატივის მოყვარე და პირველი დიდი წარმატების მსურველ მეტოქესთან ექნება საქმე, თანაც „ძრავების ქალაქს“ ძალზე მოსწყურდა ნანატრი გამარჯვება.

ჩემპიონატის 2 მატჩში უპირატესობა დეტროიტის მხარეს იყო — 2:2, 4:1, დეტროიტელმა აიზერმანმა კი 4 (1+3) ქულა დააგროვა.

მცველები: ოზოლინში (კოლორადო) 17 (4+13), დ. მირონოვი (ანაჰაიმი) 11 (1+10), ლიჩი (რეინჯერზი) და ბ. მირონოვი (ედმონტონი) 10 (2+8), ნიინიმა 10 (1+9), კოფი (ორივე — ფილადელფია) 9 (1+8), დენიო (ანაჰაიმი) 9 (2+7).

ევროპელები: კამენსკი (რუსეთი) 22 (8+14), ფორსბერგი (შვედეთი) 18 (5+13), ოზოლინში (ლატვია, ყველა — კოლორადო) 17 (4+13), ფიოდოროვი (რუსეთი, დეტროიტი) 14 (5+9), ტიკანენი (ფინეთი, რენჯერზი) 12 (9+3), ლარიონოვი 12 (4+8), კოზლოვი (ორივე — რუსეთი, დეტროიტი) 11 (8+3), დ. მირონოვი (რუსეთი) 11 (1+10).

**სამველ ლარიბიანი**




დეტროიტელი ფიოდოროვი ფინალის წინ კარგ განწყობაზეა და ჟურნალისტებს ესაუბრება

# ფალიანს სექტემბრამდე ალოდინებენ

მშვენიერი მგზავრობა გამომივიდა: ავიალაინერით, რომლითაც საბერძნეთის დედაქალაქიდან თბილისში გამოვფრინდი, ათენის საერთაშორისო ტურნირიდან მომავალი ქართველი მოკრივეები და ქალაქ პატრას ტურნირს ნასტუმრალი ჩვენებური მხატვრული ტანმოვარჯიშენი მგზავრობდნენ. ჯერ გავესაუბრე საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტს ზურაბ ფალიანს და მოკრივეთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს სერგო ბერძენიშვილს, რომელთაგან ეს შევიტყვე:

ათენის საერთაშორისო ტურნირზე მოკრივეებს ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიების მოპოვების შანსი ჰქონდათ, ამიტომაც ათენს 32 ქვეყნის 120-ზე მეტმა მოკრივემ მიაშურა. ბრძოლები ექვს წონით კატეგორიაში ჩატარდა. სამწუხაროდ, ვერცერთი ჩვენიანი მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ფოთელმა გოჩა რუსიამ (57 კგ) ორი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ უნგრელ იანოშ ნადის ვერაფერი მოუხერხა — 9:10 წააგო და ბრძოლას გამოეთიშა. ვერც ჭიათურელი თენგიზ ჯაოშვილი (71 კგ) გასცდა მეოთხედფინალს. თენგიზმა ბელარუსი მეტოქე გვარიანად გალახა, მეორე წრეში მეტოქე არ გამოუცხადდა და ასე უბრძოლველად უკრაინელი ვასილ ზუბრიხინს შეხვდა. ამ წონაში ყველაზე მეტი მონაწილე იყო — 32 კაცი. ამიტომ, მეოთხედფინალში მოხვედრაც საქმე იყო. სამწუხაროდ, თენგიზი 10:11 დამარცხდა, არადა, მეოთხედფინალის მოგება რუსიასაც და ჯაოშვილსაც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას აძლევდა.

ზურაბ ფალიანი, მოგეხსენებათ, რამაზ ფალიანის ძმაა, რამაზმა კი, გეცოდინებათ, რუსეთიდან წასვლა და საბერძნეთის მოქალაქეობის მიღება გადაწყვიტა. რამაზი საბერძნეთშია, ზურაბ ფალიანმა, რა თქმა უნდა, ინახულა ძმა, ჰოდა, რამაზის შესახებ უკეთეს მოამბეს ვილას ვინატრებდი:

„რამაზი რუსეთიდან წამოვიდა და ახლა საბერძნეთშია, ამ ქვეყანაში ბევრს სურს რამაზის გადაბირება, თუმცა ზოგიც წინააღმდეგია. ამიტომ მისი იქ დარჩენის საქმე ჯერჯერობით გაურკვეველია. საბოლოოდ, ალბათ, სექტემბერში გადაწყდება მისი საბერძნეთში დარჩენა-არ დარჩენის საკითხი. ამჟამად რამაზი ვარჯიშობს, კარგ ფორმაშია, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს...“

თვითმფრინავის ერთი სალონიდან მეორეში გადავინაცვლე, სადაც სოსო ბაქანიძე მოვიხელთე — განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორი. პატრაში ჩვენს მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს მე-20 გუნდური ადგილი კი დაუკავებიათ ოცდაათგუნდიან შეჯიბრში, მაგრამ მეტი რა პირით მოეთხოვებათ მოუწყობელ გაყინულ, ჩაბნელებულ დარბაზში ნავარჯიშებ ნორჩებს. ის კი არა, ყველას, როგორც ერთს, მუხლები აკანკალებია სარბიელზე გასვლის წინ — ვეება, გაბრდღვიალებულ დარბაზს გაუოგნებია ჩვენი ბავშვები, ვერც კი წარმოედგინათ ასეთი პირობების არსებობა. ამიტომაც, მთავარი ის იყო, რომ ნინო გედევანიშვილმა, ანა ალექსიშვილმა, დიანა გულედანმა, ალა ატოიანმა, მაკა ჩოჩიშვილმა, ნათია სულაძემ და ნინო კიკვაძემ პირველად იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირში.

**გიგა გურასაშვილი**

RUGBY SUPER 12

## ზე-12-ის სერიალი

# აუხდენელი ოცნება?! განუხორციელებადი მისია?!



ამ დილით დიდი მატჩი იქნებოდა. მრავალი დიდი გუნდის ამბიციათა სასაფლაოზე – ოქლენდის „იდენ პარკზე" უცილო ფავორიტი ოქლენდი სერიალის ფინალში კანბერას უმასპინძლებდა და მის დალახვრას ეცდებოდა.

ოქლენდი ბოლო ათწლეულში პოლინეზიის ერთგვარ დედაქალაქად იქცა – ერთობ აყავისფრდა. ქალაქის უპირველესი გუნდი – „ლურჯებიც" ამ ტენდენციას ასახავს: სავსეა ნამყენ-ნამყენი მაორებითა და კუნძულელებით; ამათი წყალობით არ აკლია კაციჭამიათა

შარშან, ოქლენდში, დიდმა ზინზანმა ასე აღმართა პირველმა თასი!

აგრესია, მობურთალობის იშვიათი ნიჭი კი ოქლენდს ოდითგანვე ჭარბად მოდგამდა, რადგან ქომაგთა გულისყურის მისაზიდად 13-კაცა ლიგასთან უწევდა მეტოქეობა.

კანბერაც საგულისხმო ფენომენია. იგი პროფესიონალიზმმა შვა. ნოვატორმა მწვრთნელმა როდ მაკქვინმა ადგილობრივ ნორჩთა ტალანტი ბობოლა მეზობლების – ახალი სამხრეთი უელსისა და ქვინზლენდის უნიჭო მოძღვართა მიერ ჩამოწერილ ვეტერანთა სიბრძნეს შეუხამა. „ველური რაშები" ისეთ რაგბს თამაშობენ, რომ თქვენი მოსაწონარი.

და მაინც, ოქლენდში მასპინძელთა ძლევა ერთგვარი **mission impossible**-ია. კანბერის გამარჯვება საარაკო მოვლენა იქნებოდა.

წინა ზე-ფინალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1993 | ტრანსვაალი | — | ოქლენდი | 20:17 |
| 1994 | ნატალი | — | ქვინზლენდი | 10:21 |
| 1995 | ტრანსვაალი | — | ქვინზლენდი | 16:30 |
| 1996 | ოქლენდი | — | ნატალი | 45:21 |

წინა ზე-შერკინებანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1996 | კანბერა | — | ოქლენდი | 40:34 |
| 1997 | ოქლენდი | — | კანბერა | 41:29 |

### ოქლენდი
AUCKLAND BLUES
ახალი ზელანდია

### კანბერა
BRUMBIES
ავსტრალია

| | ასაკი | კეპი* | სმ | კგ | № | | ასაკი | კეპი | სმ | კგ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადრიან ქეშმორი | 24 | 1 | 185 | 92 | 15 | სთივ ლარქემი | 23 | 1 | 188 | 84 |
| ჯოელი ვიდირი | 24 | * | 191 | 95 | 14 | მიჩ პარდი | 23 | - | 185 | 105 |
| ერონი ქლარქი | 28 | 8 | 185 | 101 | 13 | ჯეიმზ ჰოლბექი | 24 | - | 183 | 92 |
| ლიი სთენსნესი | 27 | 3 | 180 | 93 | 12 | პატ ჰოვარდი | 24 | 12 | 178 | 90 |
| ბრაიან ლიმა | 26 | * | 181 | 92 | 11 | ჯო როფი | 22 | 13 | 190 | 101 |
| კარლოს სპენსერი | 22 | - | 180 | 90 | 10 | დევიდ ნოქსი | 34 | 8 | 185 | 87 |
| ოფისა ტონუუ | 27 | - | 178 | 94 | 9 | ჯორჯ გრეგანი | 24 | 18 | 173 | 80 |
| ქრეგ დაუდი | 28 | 29 | 191 | 118 | 1 | პატო ნორიეგა | 26 | * | 186 | 115 |
| შონ ფითსპატრიქი | 34 | 83 | 183 | 106 | 2 | მარკო კაპუტო | 26 | 2 | 180 | 104 |
| ოლო ბრაუნი | 30 | 38 | 183 | 105 | 3 | იუენ მაკქენზი | 32 | 45 | 182 | 112 |
| ლეო ლაფაიალიი | 23 | - | 191 | 94 | 4 | ჯონ ლენგფორდი | 29 | - | 200 | 110 |
| რობინ ბრუქი | 31 | 32 | 197 | 112 | 5 | დევიდ გიფინი | 24 | 1 | 198 | 115 |
| მაიქლ ჯოუნზი | 32 | 50 | 185 | 98 | 6 | ოუენ ფინეგანი | 25 | 7 | 198 | 114 |
| მარკ კარტერი | 29 | 3 | 190 | 100 | 7 | ბრეთ რობინსონი (კაპ) | 27 | 2 | 188 | 99 |
| ზინზან ბრუქი (კაპ) | 32 | 41 | 192 | 105 | 8 | თროი ქოქერი | 32 | 16 | 198 | 118 |

* ვიდირი ფიჯელია, ლიმა სამოელი, ნორიეგა არგენტინელი. თავისი ქვეყნის ნაკრებში სამივეს უთამაშია

## საქართველოს პირველობა

III ტური. 28 მაისი

ვაკე. ქორები 23 (23) (3ლ, გ, 2ს) – ასკ 6 (6) (2ს). 76-ე წუთზე ქორმა წეველიძემ დაარტყა ჯარისკაც ანთაძეს. გაიმართა გუნდური ჩხუბი. ასკ გაილახა. მუშტიკრივი ერთი პირობა მინელდა, მაგრამ ქორ კვინიხიძისა და არმიელ საკანდელიძის შელაპარაკების შემდეგ ხელახლა გახურდა. მსაჯმა გოჩა აბაშიძემ მოედნიდან გააძევა წეველიძე და მისი თანაგუნდელი, ნაკრების ბურჯი კაკო მაჭუტაძე, რომელიც ინციდენტამდე ისედაც 10 წუთით იყო გაძევებული.

ქუთაისი. გელათი 7 (0) (ლ, გ) – აზოტი 44 (25) (8ლ, 2გ). რუსთავის გუნდს „ქიმიკოსის" ნაცვლად ისევ „აზოტი" დარქმევია. პირველობის მატჩი პირველად იმსაჯა ალმოსავლეთმცოდნე გია ჰუმბურიძემ, ბოლო წლებში „უნივერსიტეტის" წვრილფეხობას რომა მწყესავს. თამაშის დროს წვიმდა.

აია 26 (3ლ: ჩუბინიძე, აშვეთია, გიორგაძე; გ: შვანგირაძე; 2ს: გაბრიჩიძე, ჩუბინიძე; ა: შერვაშიძე) – გუმარი 3 (ს: მოდებაძე). აღარა წვიმდა, მაგრამ მოედანზე გუბეები იდგა. სტუმრებს გზის ფული რაგბის დიდმა ქომაგმა, მავანმა ვაკელმა ნოტარიუსმა ასესხა. მძიმედ დაშავდა „ბორჯღალოსანთა" და „გუმარის" კაპიტანი დიმიტრი ობოლაძე – თავში ძლიერად მოხვდა და შოკში ჩავარდა. კისერიც ერთობ ეტკინა.

ორივე გუნდი შესამჩნევად გადახალისებულ-გაახალგაზრდავებულა. შარშანდელი ჩემპიონ „გუმარის" შერკინების წინა ხაზში უჭირს „აია" ამ მოგებით დიდ ოთხეულში მოხვედრის რეალურ კანდიდატად წარმოჩნდა.

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქორები | 3 | 3 | 0 | 0 | 74: 23 | 10- 1 | 6 |
| ყოჩები | 2 | 2 | 0 | 0 | 104: 19 | 16- 2 | 4 |
| აზოტი (რუსთ) | 3 | 2 | 0 | 1 | 71: 35 | 11- 2 | 4 |
| აია (ქუთ) | 2 | 1 | 0 | 1 | 35: 17 | 3- 1 | 2 |
| ასკ | 3 | 1 | 0 | 2 | 47:116 | 5-19 | 2 |
| გუმარი | 2 | 0 | 0 | 2 | 17: 52 | 1- 6 | 0 |
| გელათი (ქუთ) | 3 | 0 | 0 | 3 | 18:104 | 2-17 | 0 |

IV ტური. ხვალ აია – ყოჩები; ზეგ გუმარი – ასკ და აზოტი – ქორები

„ბ" ჯგუფი. 25. 05. შევარდენი 31 (5ლ, 3გ) – დინამო 0

შევარდენი 4 ქულა (2 თამაშიდან); უნივერსიტეტელი 4 (3); დინამო 2 (2); თბილისი 2 (3); ქორები II -1 (2)

რაგბის კავშირმა სპორტის აკადემიის სტადიონი და „ლოკომოტივის" ბაზა მატჩების გასამართად უვარგისად ცნო. ნაკრების ყველა წევრს ებრძანა წელს მიღებული ალჭურვილობის (მათ შორის, ორ-ორი კვართისა და წაღების) დაბრუნება. ამ პროცესის კონტროლი „ბორჯღალოსანთა" მწვრთნელ დავით კილასონიას დაევალა.

## ლომები აფრიკაში

I თამაში. 28. 05. ისთ-ლონდონი. საზღვარი 14 (8) (ლ: კლაასენი; 3ს: მილერი) – ბრიტანელი ლომები 18 (10) (3ლ: ბენთლი, რიგანი, ვეინრაითი; ს: სთიმფსონი)

საზღვარმა „ლომებს" 1955 წელს მოუგო. ამჯერადაც კინაღამ იგივე მოხდა. 68-ე წუთზე მილერმა მესამე საჯარიმო დაკრა და აფრიკელები 14:10 დაწინაურდნენ.

თამაში ტლაპოში მიმდინარეობდა. ბრიტებმა რიხით დაიწყეს – ბურთაობას დაეშურნენ და მე-3 წუთზე პირველი ლელოც გაიტანეს, მაგრამ მერე თანდათან აიშალნენ. ამას დაემატა ის, რომ 44-ე წუთზე მოედნიდან საკაცით გაასვენეს კოჭნატკენი უელსელი შუამარბი სქოთ გიბსი, სთიმფსონმა კი რვა დარტყმიდან ერთადერთი გოლი გაიტანა, ისიც წამატებულ დროში.

გადამწყვეტი ლელო ასე გავიდა: „ლომებმა" მეტოქის ლელოდან ორი მეტრის მოშორებით დერეფანი გააჩაღიჩეს. ერთმა სქოთმა – დოდი ვიარმა ბურთი ორი ხელით მოიგო, მეორე – იმდლევანდელი კაპიტანი რობ ვეინრაითი კი სხვა მორკინალებმა კარის ხაზს იქით გადაიყვანეს.

დღეს „ლომებს" მძიმე თამაში ელით: ქეიფთაუნში ხვდებიან დას. კონცხს, რომელიც შარშან ზე-12-დან კი გავარდა, მაგრამ წელს ერთობ მომძლავრდა, თანაც ტრადიციით ქვეყანაში ბადალი არა ყავს!

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

EUROSPORT

**დღეს, შაბათს, 31 მაისს**

11.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"; 12.00 მოტოციკლი: მსოფლიოს პირველობა. ავსტრიის დიდი პრიზი. ცელტვეგიდან; 13.00 ცხენოსნობა: ერთა თასი. რომიდან; 14.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე. პარიზიდან; 22.45 მძლეოსნობა: პირისპირ შებმა. გაბრესილასიე – მორსელი. ჰენგელოდან (ჰოლანდია); 23.00 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. შოტლანდია – პორტუგალია. ტულონიდან (საფრანგეთი); 24.30 მძლეოსნობა: პირისპირ შებმა. ბეილი – ჯონსონი. ტორონტოში (წარდგენა); 1.00 მოტოციკლი: ავსტრია. კვალიფიკაცია; 1.45 მძლეოსნობა: IAAF-ის გრან-პრის შეჯიბრი. ჰენგელოდან; 2.00 „პაემანი": ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია (რ); 3.00 ავტორბოლა: კარტ (ყოფილი ინდიკარი). პიპი-ჯის მსოფლიო სერიალი. ვისკონსინიდან (აშშ); 4.00 ბუნიკობანა (დართსი): ევროპის პირველობა. შვეიცარიიდან (5.00-მდე)

**ხვალ, კვირას, 1 ივნისს**

11.30 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ"; 12.00 მოტოციკლი: ავსტრია; 13.00 (-) მოთელვა; 13.30 კარტ: ვისკონსინი. ვარჯიში; 14.00 მოტოციკლი: ავსტრია. რბოლა; 18.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთი. VII დღე; 22.30 კარტ: ვისკონსინი. (პ 23.00-დან) რბოლა; 1.00 (პ და მხოლოდ ამ არხით) მძლეოსნობა: მსოფლიოს უსწრაფესი კაცი. ბეილი – ჯონსონი. ტორონტოდან; 3.30 „პაემანი" (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## ველორბოლა

# წყალობა შეიშნო

იტალიის ველოტურ ჯიროზე მორიგი ორი ეტაპი გაიმართა, მაგრამ ლიდერთა მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა. გასამართი 22 ეტაპიდან 12-ის ჯამით შარშანდელი გამარჯვებული, რუსი პაველ ტონკოვი (მაპეი) კვლავ 41 წამს უგებს ფრანგ ლიუკ ლებლონს (პოლტი). მერე ზედიზედ სამი იტალიელი მოდის: ივან გოტი (საეკო) ტონკოვს წუთითა და 7 წამით ჩამორჩება, ანდრეა ნოე (ასიკსი) 1.49-ით, ლეონარდო პიეპოლი – 2.37-ით. მეექვსე ადგილზე ყაზახი ალექსანდრ შეფერია (ესეც ასიკსი), ვინაც ლიდერთან 2.49-ს აგებს.

**XI ეტაპი (28. 05; კამაირეს გარშემო; 155 კმ)** მოიგო ტონკოვის იტალიელმა თანაგუნდელმა გაბრიელე მისალიამ. ლიდერი და კიდევ 83 მრბოლი მას ერთი წუთით ჩამორჩნენ. ტონკოვმა თქვა, დამქაშის გამარჯვება ერთობ გამეხარდა, რადგან ხვალ მძიმე ბრძოლა მოგველისო.

მისალიამ თავი იმართლა: ვხედავდი, რომ ტონკოვს ვერავინ დააკლებდა რასმე, ამიტომ გავრისკე და პირად გამარჯვებაზე ფიქრი გულში გავივლეო. ისე კი, „მაპეიში" იმისთვისა ვარ, რომ ტონკოვს ვემსახუროო.

ასეთია ველორბოლის ადათი! მისალია ახალბედაა და სხვისი გამარჯვებისთვის კბილებით იბრძვის. ამ ეტაპის დასაწყისშივე დაღმართზე დაეცა, მაგრამ უმალ წამოდგა და ველოსიპედს მოახტა. „მაპეიშიც" მას შემდეგ აიყვანეს, რაც გუნდი გაუკოტრდა, ამ ჯიროზე კი სახსრების ანთებისა და გრიპის მიუხედავად მაინც მოხვდა.

მისალიას გამარჯვება დაჩრდილა სადოპინგო სკანდალმა. ზედ ეტაპის წინ სისხლის სინჯი აუღეს ალალბედზე შერჩეულ 19 მონაწილეს. ოთხ მათგანს – უკრაინელ ვლადიმირ პულნიკოვს, იტალიელებს მარკო ჯილისა და რობერტო მორეტის და ფრანგ თიერი ლორანს წითელ ბურთულათა საეჭვო სიჭარბე დაუდგინეს. ეს ე. წ. სისხლის დოპინგის უტყუარი ნიშანია. ჰოდა, წელს შემოღებული ახალი წესით ოთხივეს 15 დღით ჩამოართვეს მრბოლის ლიცენზია.

**XII ეტაპიც (29. 05; ლა-სპეცია – ვარაცე; 212 კმ)** „მაპეიმ" მოიგო. მასპინძელმა ჯუზეპე დი-გრანდემ ფინიშზე ოთხ ლტოლვილს აჯობა. ტონკოვი და ლებლონი ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ და გამარჯვებულს 12 წამით ჩამორჩნენ.

ეტაპი მთებში გადიოდა. დი-გრანდე მოწინავე ჯგუფში მაშინ აღმოჩნდა, როცა ფინიშამდე 8 კილომეტრი რჩებოდა. ბოლო აღმართზე ლებლონმა სამჯერ სცადა გაქცევა, მაგრამ ტონკოვმა სამივე იერიში ალაგმა, მერე კი დი-გრანდე საფინიშოდ გაათავისუფლა. ამანაც წყალობა შეიშნო.

## ჩოგბურთი

# მაიმუნია თარანგო

პარიზში, „როლან გაროსზე", საფრანგეთის ღია პირველობის მესამე დღეს – ოთხშაბათს გაიმარჯვეს შარშანდელმა ჩემპიონებმა. რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა (3) 6:4, 6:3, 6:4 დაამარცხა მასპინძელი გიიომ რაუქსი, გერმანელმა შტეფი გრაფმა (2) კი, 6:3, 6:3 – ნორჩი ფრანგი ამელი მორეზმო.

ცა მოწმენდილი იყო, მაგრამ გრილი ქარი ქროდა. გრაფმა 55 წუთში მოიგო. მანამდე ტურნირის ორგანიზატორებმა მას აცნობეს, რომ წინა წრეში გამარჯვებით საკარიერო მონაგარი ფანტასტიკური – 20 მილიონი დოლარისთვის გადაეჭარბებინა. ამაზე შტეფიმ მედიას უთხრა, ფულის გულისთვის არასოდეს ვირეოდიო.

ორგანიზატორებმა სხვაფრივაც იაქტიურეს. მათგან მთავარმა ერვ დიუტრეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ჩვენს ტურნირს „ფრენჩ ოუპენად" (საფრანგეთის ღიად) ნულა მოიხსენიებთ, რადგან, ერთი რომ, რა სპორტია, არა ჩანს; მეორეც, საფრანგეთის მთავრობა ინგლისური ენის მოძალებას ებრძვის, რის გამოც, რომც გვსურდეს, ინგლისურ დასახელებას რეკლამებში ვერ გამოვიყენებთ; და მესამეც, როლან გაროსი ვაჟკაცი იყო, ამიტომ უპრიანი იქნება, თუ ტურნირს ოფიციალურადაც მისი სახელი ერქმებაო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმ დღეს დამსწრეთა და მედიის ყურადღება მაინც დამთხვეულმა ამერიკელმა ჯეფ თარანგომ მიიპყრო. ამ ოქლაქმა ორი წლის წინ, უიმბლდონში, ფრანგ მსაჯ ბრიუნო რებეს აგინა, თავად კი მოედნიდან გაიქცა. ახლაც ისე უცხოდ მოიქცა, რომ „ასოშიეითიდ პრესმა" შენიშნა, თუ დიდი სლემის ტურნირების გახალისება გვსურს, თარანგო აუცილებლად უნდა ვათამაშოთო.

თარანგო თომას მუსტერს (ავსტრია, 5) ხვდებოდა. ესაო და მეტოქე ჩემზე მეტს ვარჯიშობს, ამიტომ მოსაგებად რაგინდარა ხერხი უნდა ვიხმარო, ჯეფი მუსტერის გამოჯავრებას თავიდანვე შეუდგა: კორტზე მასავით დაბოტებდა, ეჭლანებოდა, გმინავდა, ხანდისხანაც შეუძახებდა.

ავსტრიელი გაბრაზდა და მეთვალყურე ბილ გილმორი იხმო. ამას კორტზე გასვლა ორჯერ მოუწია და მატჩს ბოლომდეც თვალი ადევნა. თამაში ისე შარიანი გამოვიდა, რომ მსაჯი მაიკ მორისი სკამიდან 15-ჯერ წამოდგა, რათა ხაზის მსაჯთა განაჩენი შეემოწმებინა. მუსტერმა 7:5, 1:6, 6:2, 6:1 გაიმარჯვა, მაგრამ თარანგოს ზურგი აქცია და ხელი აღარ ჩამოართვა, თავხედმა ამერიკელმა კი განაცხადა, ჩოგბურთი სასტიკი თამაშია – ჭადრაკისა და კრივის ერთგვარი ნაზავიაო. ულოგიკო ფრანგებმაც მუსტერს უსტვინეს, თარანგო კი ტაშით გააცილეს. ამან ხალხს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

პიტ სამპრასმა (აშშ, 1) 6:1, 6:2, 6:2 ძლია ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი). ამერიკელი დიდი ნოვატორი ყოფილა: კორტისპირა მაცივრებში ინახავს ... ჩოგანს. ამით თურმე მაგრად დაჭიმული სიმები აღარ ეშვება.



მიდი, კოჭი გააგორე! – შეურაცხყოფილმა მუსტერმა თარანგოს ხელი აღარ ჩამოართვა

როიტერი პარიზიდან

„ესპანურმა არმადამ" დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: ავსტრალიის პირველობის ფინალისტი, დალალა კარლოს მოია (ესპანეთი, 9) 6:4, 4:6, 7:5, 6:3 გააგდო გამოუცდელმა თანამემამულე ალბერტო პორტასმა.

ხუთშაბათს მარტინა ჰინგისმა (შვეიცარია, 1) გაჭირვებით 3:6, 6:4, 6:1 მოუგო 75-ე ჩოგანს, იტალიელ გლორია პიციკინის. მარტინას საწყის ორ ხელში 36 უნებური შეცდომა მოუვიდა. გოგო იდგა და პაუზების დროს თავისთვის ბუტბუტებდა, იმანჭებოდა, ერთხელ ჩოგანიც მოისროლა. პიციკინი დაიბნა. თავადვე გამოტყდა, მოგებისა შემეშინდაო. უძლეველმა ჰინგისმა ამგვარად მოიგო ზედიზედ 33-ე მატჩი.

13 ორმაგი შეცდომა, მათ შორის მატჩ-პოინტზეც, დაუშვა კოლორიტულმა ზანგმა ვინუს ვილიამსმა. მას 5:7, 6:3, 7:5 მოუგო გამოცდილმა ფრანგმა ნატალი ტოზიამ. მონიკა სელეშმა (აშშ, 3) 6:3, 7:5 ძლია სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი), მარსელო რიოსმა (ჩილე, 7) კი ზიმბაბველი ბლექებიდან უფროსი ძმა – ბაირონიც ძლია და უმცროსი ვეინისა არ იყოს, მასაც ხუთ ხელში მოუგო, მერე რა ანგარიშით – 6:7 (3-7), 6:7 (0-7), 6:4, 7:6 (7-4), 6:0 !

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექვაბიშვილი? ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ [illegible]ასაშვილი, ერეკლე კიკილ[illegible]ა, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29